

საბჭა

№8(200)
აგვისტო
2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

წმინდა მამის მედალი ეპისკოპოსო ჯუზეპე ჰამოცოს

ნიშნად თავდაღებული
მსახურებისა



12.07.2012

საპატივსაცემი 200

ძვირფასო მკითხველო, თქვენს ხელთაა „საბას“ საიუბილეო ნომერი. დღეს ჩვენს ოჯახებში, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში „საბამ“ მეორასედ შემოაბიჯა საინტერესო ინფორმაციების მაუნყებელ კეთილ მაცნედ.

საკმაოდ ხანგრძლივი და შინაარსიანი გზა განვლო „საბამ“. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1990-იანი წლების დამდეგიდან, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ახალი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ქართველობამ მოიპოვა რწმენის თავისუფლება, საბჭოთა რეჟიმისაგან თავდახსნილი, მკვეთრად შემობრუნდა „გაუცხოებული“ რელიგიისაკენ. მას უკვე შეეძლო არა მხოლოდ ზოგადად ესაუბრა რელიგიაზე, არამედ უშუალოდ ზიარებოდა ეკლესიურ ცხოვრებას.

უფლის ეს მაღლი ძალუმად გადმოვიდა საქართველოს კათოლიკეებზეც. რაც მთავარია, შესაძლებელი გახდა, თბილისში მოქმედი ერთადერთი კათოლიკური ეკლესიის გვერდით, აღდგენილიყო რეგიონებში არსებული კათოლიკური ეკლესიები. სწორედ ამ მიზნით, ვატიკანის ნებით, იტალიიდან საქართველოში დამატებით გამოგზავნეს მღვდლები: 1992 წელს წმიდა საყდრის დესპანი ჟან პოლ გობელი, რომელიც ეპისკოპოსის მოვალეობასაც ასრულებდა, 1994 წელს – მამა ჯუზეპე პაზოტო და მამა გაბრიელე ბრაგანტინი, რომლებიც მსახურებისათვის დასავლეთ საქართველოში განაწესეს. ამიერიდან, სულიერი მამების წყალობით, სხვადასხვა მხარეში მცხოვრები კათოლიკეები, წინაპართა ტრადიციის მიხედვით, ქართულ ენაზე ისმენდნენ ლათინური წესის წირვა-ლოცვებს, ქადაგებებს, მონაწილეობდნენ რელიგიურ დღესასწაულებში... მამა-პაპათა ოცნება რეალობად იქცა.

ეს იყო ჭეშმარიტად სასიამოვნო სიახლე კათოლიკე მრევლის სულიერ ცხოვრებაში. მალე, სრულიად საქართველოს მიხილ თამარაშვილის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოების (პრეზიდენტი სერგო ფეიქრიშვილი) თაოსნობით, დაარსდა გაზეთი „საქართველოს კათოლიკე“ (პირველი ნომერი გამოვიდა 1994 წლის აპრილში). იგი მკითხველს აცნობდა წმიდა რელიგიური ხასიათის საკითხებს (რაც მათთვის მამინ სრულიად უცხო იყო), ასევე: ცნობილი ქართველი კათოლიკე მამულიშვილების უდიდეს ღვაწლს ერის ისტორიაში და ბევრ საინტერესო ინფორმაციას. გარდა ამისა, გაზეთმა ერთმანეთთან დააკავშირა საქართველოს რეგიონებში მიმოფანტული კათოლიკეები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. „საქართველოს კათოლიკე“ მოკლე დროში დაადასტურა, რომ ასეთი პერიოდული ორგანო აუცილებელი იყო მრევლის სულიერი ზრდისთვის.

1995 წელს დაარსდა ახალი გაზეთი „საბა“. პირველი ნომერი გამოვიდა აპრილში და დაიწყო მისი შემოქმედებითი ცხოვრების ისტორია. გაზეთი თავდაპირველად ასოციაცია „საბას“ ყოველთვიურ ორგანოს წარმოადგენდა. 1995 წლის დეკემბრიდან ის გახდა ქართველ კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა დამოუკიდებელი, ყოველთვიური გაზეთი, 1996 წლის მე-5 ნომრიდან – დამოუკიდებელი ყოველთვიური გაზეთი, 1999-2005 წლებში კი – კათოლიკეთა დამოუკიდებელი გაზეთი.

დაარსებიდან 2005 წლის გაზაფხულამდე, „საბას“ მთავარი რედაქტორია მანანა ანდრიაძე, ხოლო სარედაქციო კოლეგიის

წევრებად სხვადასხვა დროს იყვნენ: გ. აბლაძე, ვ. აზარაშვილი, ვ. გოგოლაშვილი, გ. ნადირაძე, ალ. ცანავა, რ. ხოჯავა, ვ. ჯორჯიკია, გ. მესხიშვილი, გ. ცხოვრებაძე, ს. ფეიქრიშვილი, მ. ბერძენიშვილი, მამა პავლე სჩეპანიკი, ც. ხითარიშვილი. გაზეთი თავიდან იყო ფართო ფორმატის, რვაგვერდიანი, 1997 წლის მე-4 ნომრიდან – პატარა ფორმატის თექვსმეტგვერდიანი.

2005 წლის ოქტომბრიდან „საბა“ გამოდის, როგორც საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე. მისი პასუხისმგებელია რედაქცია, რომლის შემადგენლობაში შედიან: მამა გაბრიელე ბრაგანტინი, ნ. ბარდაველიძე, ნ. ბიგვაია, ვ. ნოზაძე, მ. ლალანიძე, ზ. შათირიშვილი, ც. ხითარიშვილი.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ „საბა“ აგრძელებდა „საქართველოს კათოლიკეს“ ტრადიციებს, ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა მკითხველს, სისტემატურად აფართოებდა და მრავალფეროვანს ხდიდა თავის თემატიკას, ითვალისწინებდა მკითხველის სურვილებსა თუ შენიშვნებს და ასე – ახლის ძიებაში – მოვიდა იგი დღევანდლამდე. აქვე დავძენთ: ბოლო წლებში დაიხვეწა „საბას“ დიზაინი, იბეჭდება მაღალი ხარისხის ცარცის ქაღალდზე, ჩასმულია ფერად ყდაში... მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მაცნე შინაარსობრივადაც საყურადღებოა და საინტერესო.

ვფიქრობთ, ამჯერად, ჩვენი მხრიდან „საბას“ არ სჭირდება სპეციალური წარდგენა მკითხველის წინაშე, არც მისი მრავალფეროვანი რუბრიკების ჩამოთვლა-დახასიათებაა საჭირო. მინდა, მხოლოდ ერთი წინადადება შემოგთავაზოთ: სასურველია, მაცნეს თემატიკას დაემატოს ახალი რუბრიკა – ხანდაზმულთა გვერდი (შეადარეთ ახალგაზრდული გვერდი), სადაც მოთავსდება წერილები საქართველოში მცხოვრებ ასაკოვან, მორწმუნე კათოლიკეებზე, რომელთაგან ზოგი, ფიზიკური შეუძლებლობის გამო, ვერ ესწრება საკვირაო წირვას თუ სხვა ღონისძიებებს; მოვეფეროთ ასეთებს, ჩვენი „საბას“ მეშვეობით მივულოცოთ დაბადების დღეები, წარმოვაჩინოთ მათი განვლილი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები და ა. შ., რათა ამ გზითაც შევემსუბუქოთ ხანდაზმულობის მძიმე ტვირთი...

დასასრულ, „საბას“ და მის რედაქციას ვუსურვებთ შემოქმედებით აქტივობა-მრავალფეროვნებას, წარმატებათა სიუხვეს და მკითხველთა სიყვარულს.

განსაკუთრებული გულწრფელი მადლობა ჩვენს ეპისკოპოსს, მეუფე ჯუზეპეს და მამა გაბრიელეს, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმართავენ „საბას“ საქმიანობას და მის თითოეულ ნომერს უფრო საინტერესოს ხდიან საგულისხმო წერილებით.

ჟუჟუნა ფიქრიშვილი

P.S. აქვე, მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ „საბას“ ტექნიკური პერსონალი, დავით პაპაშვილი და ზაზა ჩუგოშვილი, რომლებიც საკუთარი პირმშოსავით ელოლიავენებიან „საბას“, ცდილობენ, შემოქმედებითად მიუდგნენ მისი ყოველი ნომრის მომზადებას და მკითხველს მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული გამოცემა მიაწოდონ.

რედაქცია

„აღიღვას“ ~ Magnificat

„Magnificat“ – „აღიღვას“ – ეს არის საგალობელი, რომელიც მოცემულია ლუკას სახარების პირველ თავში; ღვთისმშობელი მარიამი ამ საგალობლით ქება-დიდებას უძღვნის ღმერთს. ის ცნობილია, როგორც მარიამის საგალობელი; მისი სახელწოდებაც პირველივე ლათინური სიტყვიდან იქნა შერჩეული: „Magnificat anima mea Dominum“.

ანგელოზის ხარების შემდეგ, მარიამი ნაზარეთიდან მთიან მხარეში მიდის, თავისი ბიძაშვილის, ელისაბედის მოსანახულებლად, რომელიც „იუდეის ქალაქში“ ცხოვრობდა (ლუკ. 1,39-55); ტრადიცია მას აიგივებს იერუსალიმიდან აღმოსავლეთით, 6 კმ-ში მდებარე სოფელ აინ კარემთან (Ain Karem); სწორედ ელისაბედთან შეხვედრის დროს წარმოთქვამს მარიამი ამ საგალობელს, ელისაბედის მისალმების პასუხად. საგალობელი შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად, ხსნის ისტორიის მოვლენათა კვალდაკვალ: პირველ ნაწილში (მუხლი: 48-50) ხოტბა ესხმება ყოვლისშემძლის სიკეთეს და ადამიანთა მზაობას მის მისაღებად; მეორე ნაწილში (მუხლი: 51-53) გამოსჭვივის იმედი: მაცხოვრის ერთგულება, ვისი წყალობაც ისტორიულად მრავალგზის გამოიცადა. ეს სულაც არ გახლავთ უტოპიური იმედი; მესამე ნაწილში (მუხლი: 54-55) გაცნობიერებულია, რომ ისრაელისთვის მიცემული აღთქმა სისრულეში მოდის: იესო არის დაპირებული ხსნის სისავსე და საბოლოო აღსრულება. მარიამის სიტყვებში ძველი აღთქმის მრავალი თემაა ასახული, განსაკუთრებით მოტივები ფსალმუნებიდან და ანა წინასწარმეტყველის გალობიდან (1 მეფეთა. 2,1-10), ქება-მადლიერების მიძღვნა ღვთისადმი, როგორც მხსნელისადმი; ნაზარეველი მარიამის ბაგით წარმოთქმული ეს ყოველივე უკავშირდება იმ დიად მოვლენას, რომელიც აღსრულების პროცესშია და რისთვისაც იქნა თავად იგი მოხმობილი: აქ არ ჩანს ძველი აღთქმისათვის დამახასიათებელი შურისძიება, არ ჩანს მტერი, რომელიც უნდა განადგურდეს, აქ არის ახალი სამყარო, სადაც მდიდრებს წაერთვათ სიმდიდრე, ლატაკთ ებოძათ შესაფერისი ღირსება: „გაფანტა ამპარტავანნი მათი გულისზრახვებთან ერთად; ტახტებიდან გადმოყარა ძლიერნი და აამაღლა თავმდაბალნი“ (ლუკა, 1,51-52).

ბიბლიის მკვლევრები დაინტერესდნენ, ეკუთვნოდა თუ არა ეს სიტყვები ნამდვილად მარიამს, მისი ახალგაზრდული ასაკიდან და მწირი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ შეეძლო მას, წარმოეთქვა ასეთი მრავლისმეტყველი სიტყვები; მათ შეისწავლეს ტექსტი, მახარებელ ლუკას წერის მანერა

(რომელიც წერს: „და თქვა მარიამმა“); არსებობს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც Magnificat, როგორც ამ სახარებაში წარმოდგენილი დანარჩენი ორი გალობა, უკავშირდება ძველი აღთქმის უძველეს საგალობლებს, რომელსაც იუდეურ-ქრისტიანულ გარემოში იყენებდნენ ლიტურგიის დროს, და რასაც ლუკა მიმართავს, როგორც წყაროს, ახდენს მის ადაპტირებას მოთხრობილ მოვლენათა მიხედვით. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლუკამ ამ საგალობელს „ღვთის გლახაკთა“ ანალებში მიაგნო; საგარაუდოდ, გალობას სწორედ აქ მიაკუთვნებდნენ სიონის ასულს; ამ საგალობლის სიტყვები მარიამის ბაგეებიდან უნდა წარმოთქმულიყო, და მახარებელმაც იგი პროზაული თხრობით გადმოგვცა.

ერთი შეხედვით, საგალობელში ორი პერსონაჟი ჩანს: ღმერთი და მარიამი; მაგრამ მასში სხვა პერსონაჟებიც იგულისხმება: ღმერთი, იესო – მარიამის მუცლად მყოფი და ეკლესია- მისი სახით; ვინც ამ საგალობელს კითხულობს და ვინც ისმენს: მარიამი წარმოაჩენს იესოს და ეკლესიას. საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ ეს ებრაული გალობა გახმიანდა მარიამის პირით, რომელიც მუცლად ახლად ჩასახულს ატარებდა; სულიწმიდით აღვსილი, იგი წარმოთქვამს ამ საგალობელს; შეიძლება ითქვას, რომ მარიამის მეშვეობით იესო ქება-დიდებას უძღვნის ღმერთს განკაცების გამო. მართალია, იესო არსად არის მოხსენიებული, მაგრამ იგი დედის წიაღშია, მას თავის მყოფობას განაცდევინებს; მარიამი ამაყი და ბედნიერია, რაც იკითხება შემდეგ ფრაზაში: ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა, მისი ძე (და ეკლესია), რომელიც აქებს თავის მშობელ დედას და აცხადებს მის სიდიადეს. გალობაში ათამდე ფრაზაში უფლის ქმედებაა ნაგულისხმევი: „მოხედა თავმდაბლობას“, „დიდი საქმე მიყო“, „თაობიდან თაობამდე მისი გულმონყალება“, „ქმნა სიმტკიცე“, „გაფანტა“, „გადმოყარა“, „აამაღლა“, „აღავსო“, „გაუმეა“, „შენია“. აქ ჩანს ღმერთის სიყვარული და მზრუნველობა თავისი ხალხისადმი. მარიამი ბედნიერი და მადლიერია უფლისა, რამეთუ იგი მალღობიდან რჩეულია. Magnificat-ში ერთი ამოსუნთქვითაა გამოხატული გრძნობები: სიხარული, სიყვარული, ოჯახის განცდა, ნდობა უფალსა და მარიამს შორის: მარიამი ხარობს არა იმიტომ, რომ რაიმე წარმატებას მიაღწია, ან დიდი საქმეები მოიმოქმედა; არა იმიტომ, რომ იგი მომხიბვლელი, გონიერი ან წმინდაა, სხვებზე მეტად განსწავლული ან ძლიერია, არამედ იმიტომ, რომ ღმერთმა მხოლოდ მას მოხედა, თავისი მზერა მასზე შეაჩერა. ღვთის ამგვარი ქმედება ერთ ძალზე მნიშვნელოვან სიმართლეს

333

უნდა გვახსენებდეს, რომელიც გვეხება ჩვენ და ჩვენს ბედნიერებას.

ამ სიმართლეს არ განსაზღვრავს ჩვენი თვისებები, ფასეულობა, არც ის, თუ როგორ გვაფასებენ, ან წარმატებები; ჩვენ ვგრძნობთ მის არსებობას ჩვენში, როცა გვიგებენ, როცა გვესმის, რომ არის ვიღაც, ვისაც ვუყვარვართ, ვინც ზრუნავს ჩვენზე და ვისაც თავისი ჩანაფიქრი, თავისი გეგმა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე.

იქნებ ვცადოთ და გავიმეოროთ საგალობელში მოცემული ყველა ეს სიტყვა და მადლშენიერვად ვაქციოთ ლოცვა? ადამიანს ხშირად დაჰყავს ლოცვა უბრალო თხოვნამდე; რამდენჯერ მიგვიმართავს ღმერთისთვის საქებარი და სამადლობელი სიტყვებით? რამდენჯერ წარმოგვითქვამს ლოცვა ამგვარად: „უფალო, არაფერი მაქვს სათხოვარი, არც რამე საკითხავი, მინდა მხოლოდ გაქო, მადლი შემოგწირო და გაგიმეორო, რომ მე შენ მიყვარხარ!“ მხოლოდ ასე შევამჩნევთ, რომ ყველა სიტყვას, რისგანაც შედგება ლოცვა Magnificat, გავისიგრძევენ, რამეთუ ჩვენი არსებობა ღვთისადმი ქებად და მადლშენიერვად გარდაისახება. Magnificat უმარტივესი ლოცვაა, რომელიც არაფერს ითხოვს, გარდა ყოვლისშემძლის ქებისა და მადლშენიერვისა. რა აღმოაცენებს ღვთისმშობლის გულში გალობას, თუ არა ღვთის ყოვლისშემძლეობის სიხარული, რომელიც მის წიაღში ადამიანურ ფორმას იძენდა? მარიამთან ერთად ამ საგალობლის ლოცვა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ მე ღვთის ძე ვარ, დასაბამიდან საყვარელი, სასურველი და კურთხეული: „მე გიცნობდი შენ, ვიდრე დედის მუცლად ჩაისახებოდი“, და რომ იგი მუდამ ჩემთან არის, „დიახ, უამთა აღსასრულამდე!“ ილოცო Magnificat ნიშნავს, აღიარო ყოველივე, რაც ღმერთს შეუქმნია და რასაც კვლავ გვიქმნის ცხოვრებაში, გვნამდეს, რომ იგი უწინამძღვრებს ჩვენს ყოველ ნაბიჯს; ნიშნავს, ვხედავდე, რომ ჩემს ყოველ ქმედებას მისი ხელი ატყვია, ვხედავდე მას ყოველ შემხვედრ ადამიანში, ყოველ ახალგაზრდაში, ყოველ მოხუცში, ვისაც ვხვდებით. ყოველთვის სადიდებელია, როცა ახალგაზრდა სიყვარულს ენაფება; როდესაც სნეულები იკურნებიან; როდესაც ოჯახებში, რომლებიც კრიზისს განიცდიდნენ, სიმშვიდე ისადგურებს;



როდესაც დაქანცული და დეპრესიაში მყოფი ადამიანები ხვდებიან მათ, ვინც მოუსმენს და ანუგეშებს; როდესაც მდიდრები იესოს სახარებაზე მოექცევიან. ყოველთვის სადიდებელია, როდესაც ხორცი ესხმება სიმართლეს; როდესაც ერები, რომლებიც ერთმანეთს ეომბოდნენ, ზავდებიან; როდესაც ადამიანები თავიანთ მონოდებას აღმოაჩენენ ცხოვრებაში.

ქრისტიანული საკრებულოები ოდითგანვე ითავისებდნენ მარიამის სიტყვებს: Magnificat ეკლესიის გალობად იქცა. როგორც ლუკას სახარების სხვა გალობანი, ეს გალობაც განთავსდა კათოლიკე ეკლესიის ლიტურგიულ ტრადიციაში დასაბამითვე, კერძოდ, მწუხრის ლოცვებში და თანაც დიდი მონივნებით: გალობის დანყება პირველის გამოსახვით, გალობა ფეხზე მდგომარედ, გალობისას საკმეველის კმევა საკურთხეველზე. მუსიკის მთელი ისტორიის განმავლობაში, Magnificat, როგორც ბიბლიური

ლოცვის უმაღლესი გამოსატყულება, ასულდგმულება მრავალ კომპოზიტორს, მათ შორის, იოჰან სებასტიან ბახს, ანტონიო ვივალდის; აქედან ჩანს, თუ რა პატივით ეკიდებოდნენ ამ საგალობელს. მართლმადიდებელი ეკლესიაც იყენებს Magnificat-ს დილის ყოველდღიურ ლოცვებში. Magnificat ასევე შესულია ანგლიკანური ეკლესიის ლოცვის საერთო წიგნში და მას მწუხრის (vensong) მსახურებაზე გალობენ.

უნმინდესი მარიამის მიძინების დიდდღესასწაულზე, 15 აგვისტოს, ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის ლიტურგია Magnificat-ის ტექსტს წმიდა მესაზე სახარებად აცხადებს; შეიძლება ითქვას, რომ ეს არის Magnificat-ის დღე!

მოდით, ვცადოთ და ეს საგალობელი ისეთი გრძნობით წარმოვთქვათ, რომ მარიამის ადგილზე წარმოვიდგინოთ თავი. თუ ქრისტიანს არ შეუძლია მარიამთან ერთად ლოცვა, იგივეა, რომ სახარებიდან ეს ტექსტი ამოგლიჯო. ქრისტიანი, რომელსაც არ შეუძლია მარიამის წინაშე ლოცვა, იგივეა, ჩაახშო დედის მუცლად მყოფი იესოს ხმა; მაშინ ეს ქრისტიანი მუნჯი ქრისტიანი იქნება; ეს ეკლესია მუნჯი ეკლესია იქნება!

მამა ბაბრიელ პრაგანტინი

კათოლიკე იერარქები სირიის მოვლენების შესახებ

„ომი არაფერს მოუტანს სირიელ ხალხს, გარდა ნგრევისა და გლოვისა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის ხელისუფალნი, ქვეყნის მკვიდრნი და ყველა აღმსარებლობის მონაშენნი შეძლებენ მტრობის დაძლევას და დაადგებიან დიალოგის, შერიგებისა და მშვიდობის გზას. ჩვენ გვჯერა, რომ კრიზისიდან არის გამოსავალი – სამართლიანი და კონსტრუქციული, სადაც თითოეული მოქალაქის ინტერესი იქნება დაცული; ჩვენ გვჯერა, რომ ღმრთის შეწევნით ქვეყანაში დაიკვიდრებს მშვიდობა და სირიელი ხალხი შეძლებს ცხოვრებას სიყვარულით, სამართლიანობით, თავისუფლებით და ამ ქვეყნის ყველა რელიგიურ უმცირესობათა, მათ შორის ქრისტიანთა პატივისცემით“, – ნათქვამია ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციის საბჭოს საგანგებო განცხადებაში.

„ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის დახმარებით შესაძლებელი გახდება იმის შეჩერება, რასაც მე არაერთხელ ვუწოდებ „ჯოჯოხეთს ჩავლა“, – აღნიშნავს წმიდა საყდრის დესპანი დამასკოში, მთავარეპისკოპოსი მარიო ძენარი. 19 ივლისს იერარქმა, სატელეფონო საუბრისას, მოუთხრო ვატიკანის რადიოს კორესპონდენტს, თუ რა ვითარებაა დამასკოში: „დილის სამ საათზე, ქალაქის განაპირას, ძლიერი აფეთქებების ხმა გაისმა. აფეთქებებისა და სროლის ხმა განუწყვეტილად ისმოდა ექვსი საათის განმავლობაში. დამასკოს მკვიდრნი სახლებს ტოვებენ და ქალაქიდან გარბიან. რთულია იმის თქმა, რა იქნება შემდეგ. რამდენიმე თვის წინ, იმედით ველოდით „ნათელს გვირაბის ბოლოს“, ახლა კი მეჩვენება, რომ სადღაც ვეშვებით. იმედი მაქვს, – ყველას გვაქვს იმედი, – რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა შეაჩერებს ამ დაღმასვლას, რომელსაც ჯოჯოხეთში მივყავართ“.

სააგენტო Fide მელქიტების პატრიარქის, გრიგორი III ლაჰამის მოწოდებას აქვეყნებს: „სხვა მოქალაქეებთან ერთად, სირიის კათოლიკეებმა ხმა აღიმადლეს, თავისუფლება და დემოკრატია მოითხოვეს. დღეს მოვუწოდებთ, შეჩერდეს მკვლელობებისა და ნგრევის ნიაღვარი, რომელსაც სირიის მშვიდობიანი მკვიდრნი ეწირებიან. ყველაზე დიდი საფრთხე სირიისთვის დღეს ანარქიაა. სიტუაცია



ძალზე არასტაბილურია, იარაღი ყოველი მხრიდან მოედინება. ძალადობა ძალადობას შობს და თითოეულ მოქალაქეს წვდება, რასის, აღმსარებლობისა და პოლიტიკურ შეხედულებათა მიუხედავად. სირიელებს მდიდარი ისტორიული გამოცდილება აქვთ. მათ ძალუძთ ამ კრიზისის დაძლევა – ურთიერთდახმარებით, სიყვარულითა და მიტევებით. ჩვენ დაჟინებით მოვუწოდებთ ყველას დიალოგისკენ, შერიგებისა და მშვიდობისაკენ“.

რწმენის მოქმედების კონგრეგაციის ახალი პრეფექტი

2 ივლისს უწმიდესმა პაპმა რწმენის მოძღვრების კონგრეგაციის ახალი პრეფექტი დანიშნა. ამიერიდან თანამდებობას რეგენსბურგის ყოფილი მთავარეპისკოპოსი, გერჰარდ ლუდვიგ მიულერი დაიკავებს. უახლოეს კონსისტორიაზე ახალ პრეფექტს კარდინალის წოდება მიენიჭება. იგი ასევე უხელმძღვანელებს პონტიფიკალურ კომისიას Ecclesia Dei, პაპის ბიბლიურ კომისიასა და საერთაშორისო თეოლოგიურ კომისიას.



გერჰარდ ლუდვიგ მიულერი 1947 წელს დაიბადა. მაინცის ვილიგიზის ეპისკოპალური სკოლის დამთავრების შემდეგ, მაინცის, მიუნხენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში სწავლობდა. 1977 წელს მიიღო თეოლოგიის დოქტორის ხარისხი. 1987 წელს მიიღო ხელდასხმა და მაინცის ეპარქიაში მსახურობდა. ასწავლიდა დოგმატურ ღმრთისმეტყველებას მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანეს უნივერსიტეტში. 2002 წელს უწმიდესი პაპის, იოანე პავლე II-ის მიერ დანიშნა რეგენსბურგის ეპისკოპოსად. იყო გერმანიის ეპისკოპოსთა კონფერენციის ეკუმენური კომისიის პრეზიდენტი, გერმანიის ქრისტიანულ ეკლესიათა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

მსოფლიოში იზრდება მოწოდებულთა რიცხვი მღვდლების რიცხვმა 413 ათასს მიაღწია

ათი წლის მანძილზე, 2000-2010 წლებში, მსოფლიოში მღვდლების რიცხვი, როგორც რელიგიური ორდენების, ასევე საეპარქიო, საგრძნობლად გაიზარდა: 405.000-დან 413.000-მდე. ეს ინფორმაცია ქ. ბარში მიმდინარე ეროვნულ კონგრესზე საჯაროდ გაცხადდა ვატიკანის სტატისტიკური სამსახურის ხელმძღვანელის, მონსინიორ ვიქტორ

ფორმენტის მიერ. ამასთანავე, პერმანენტულ დიაკონთა რიცხვი 35.000-მდეა. რაც შეეხება იმ მღვდლებს, რომელთაც უარი თქვეს რელიგიურ მსახურებაზე, მათი რიცხვი 1.000 ერთეულამდე დავიდა, ხოლო იმ მღვდელთა რაოდენობა, ვინც გასულ წელს ეკლესიაში დაბრუნება ითხოვა, 460-ია. ფორმენტიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს რიცხვი აშკარად მეტყველებს ნელი ტემპით, მაგრამ მყარად მიმდინარე ზრდაზე.

ჩვენი ღრმის ქრისტიან მონაგებთა მუშაუმი

რომში, წმიდა ბართლომეს ბაზილიკაში შეკრებილია მრავალი ექსპონატი, რომელიც XX-XXI საუკუნეებში რწმენისთვის წამებულთა ცხოვრებასა და გმირობაზე მოგვითხრობს. აქ არის ნივთები, რომლებიც საღვადორის მთავარეპისკოპოსს ოსკარ რომეროს, პოლონელ მღვდელს, „სოლიდარობის“ წევრს იეჟი პოპელუშკოს, პაკისტანელ ქრისტიან პოლიტიკოსს შაჰბაზ ბჰატის ეკუთვნოდა. აქ ერაც, ნახავთ სომალსა თუ ალჟირში დაღუპულ ქრისტიანთა ბიბლიებს, კრიალოსნებს, ხატებსა და შესამოსელს. ცალკე განყოფილებაში შეკრებილია ნივთები, რომლებიც კომუნისტური და ნაციტური რეჟიმების მსხვერპლთ, მექსიკისა და ესპანეთის სამოქალაქო ომების დროს დაღუპულ ქრისტიანებს ეკუთვნოდა.

ქრისტიან ახალმონაგებთა ხსოვნის პატივის მისაგებად წმიდა ბართლომეს ბაზილიკას არა მხოლოდ კათოლიკე, არამედ მართლმადიდებელი და პროტესტანტი მორწმუნეებიც სტუმრობენ.

„ქრისტიანი, რომელიც თავის იდეალებს არ ღალატობდა“



22 ივლისს ავტოავარიის შედეგად დაიღუპა ცნობილი კუბელი დისიდენტი, კუბის ქრისტიანული განმათავისუფლებელი მოძრაობის დამაარსებელი, სახაროვის პრემიის

ლაურეატი, ოსვალდო პაია სარდინიასი.

პანაშვიდს ჰავანის ელ-სალვადორ-დელ-მუნდოს ტაძარში ოსვალდო პაიას თანამოაზრეები, კუბის დისიდენტები, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები და ასობით მორწმუნე დაესწრო. „ამ ტაძარში მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები მოხდა. აქ მიიღო პირველი ზიარება, ჯვარი დაიწერა, აქ ეზიარებოდა მთელი მისი ოჯახი. ეს ეკლესია ასევე ქრისტიანული განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრს წარმოადგენს“, – აღნიშნა გარდაცვლილის მეუღლემ ოფელია ოსევედომ. დაკრძალ-

ვის ცერემონიას მთავარეპისკოპოსი ხაიმე ლუკას ორტიგა-ი-ალამინო წარუძღვა.

„კუბელებთან ერთად, მთელი მსოფლიო გლოვობს ოსვალდო პაიას. მისი სიკვდილი მძიმე დარტყმაა. მაგრამ ჩვენთვის მისაბაძი დარჩება მისი თავდადება და შეუპოვრობა. იგი ერთდროულად პატრიოტიც იყო და სამაგალითო კათოლიკეც. მის მოღვაწეობას საფუძვლად ეკლესიის სოციალური სწავლება ედო. იგი არასდროს უშინდებოდა სიყვარულისა და ჭეშმარიტების მოწმეობას. ის იყო ქრისტიანი, რომელიც თავის იდეალებს არ ღალატობდა“, – აღნიშნა თავისი სამძიმრის წერილში მაიაიმის მთავარეპისკოპოსმა ტომას ჯერარდ ვენსკიმ.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები 2012

27 ივლისს, 8 საათსა და 12 წუთზე, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის აღსანიშნავად, ვესტმინსტერის ტაძარში გაისმა წმიდა ედუარდის ზარის ხმა, რომელსაც ათასობით ზარი შეეხმიანა მთელ დიდ ბრიტანეთში. „თამაშების გახსნის ცერემონიის დღეს ადამიანები მოლოდინითა და იმედით გაიღვიძებენ. ქრისტიანული სამრეკლოებიდან ზარების ხმა გადმოიღვრება, რათა თავად ბრიტანეთს და მთელ მსოფლიოს ბრიტანეთის ქრისტიანული ფესვები შეახსენოს“, – აღნიშნა გახსნის ცერემონიის დამდგმ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების კათოლიკე კოორდინატორმა, ეკუმენური ორგანიზაციის More Than Gold წარმომადგენელმა ჯემს პარკერმა.



28 ივლისს, 14 საათსა და 30 წუთზე, ვესტმინსტერის ტაძარში წმიდა ნირვა აღესრულა, რომელზე დასასწრებადაც ინგლისისა და უელსის მღვდელმთავრებმა ყველა კათოლიკე სპორტსმენს მოუხმეს, „რათა მადლობა შესწირონ უფალს იმ შესაძლებლობებისათვის და გამარჯვებებისათვის, რომელსაც ეს ოლიმპიური თამაშები მოუტანს დიდ ბრიტანეთსა და მთელ მსოფლიოს“.

„ოლიმპიური თამაშები უდიდესი სპორტული მოვლენაა, რომელშიც მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. მას დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ეკლესია ამ მოვლენას სიმპათიითა და ყურადღებით უმზერს. ვილოცოთ იმისთვის, რომ, ღმრთის ნების თანახმად, ლონდონის ოლიმპიური თამაშები იქცეს ძმობის ჭეშმარიტ გამოცდილებად“, – აღნიშნა 22 ივლისს უწმიდესმა პაპმა.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ქაჩინაღი ღმონაჰლო სანღჰი საქაჰოჰელოჰი

2012 წლის 12 ივლისს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა აღმოსავლეთის კათოლიკური ეკლესიების კონგრეგაციის პრეფექტი, კარდინალი ლეონარდო სანღრი.

საპატიო სტუმრის შესახებ დრად თბილისის მარიაიმის ზეცად აღყვანების კათოლიკურ საკათედრო ტაძარში

შეიკრიბნენ საქართველოში მოღვაწე ლათინური, სომხური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკე მორწმუნეები, საზოგადოების წარმომადგენლები და სასულიერო პირები. მათ შორის იყვნენ: საქართველოში აკრედიტებული წმიდა საყდრის დესპანი, მთავარეპისკოპოსი მარეკ სოლჩინსკი, ამიერკავკასიაში

ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და სომხური წესის კათოლიკეთა ეპისკოპოსი მინასიანი. წმ. ნირვის დაწყების წინ, მაღალი რანგის სტუმარს, მორწმუნეთა და სასულიერო პირთა სახელით, მიესალმა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო:

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,

კმაყოფილნი ვართ თქვენი საქართველოში ხილვით; კმაყოფილნი ვართ თქვენთან ერთად და თქვენი წინამძღოლობით ექპარისტული ლოცვის აღვლენით. მასთან შეხვედრის სიხარული, რომელსაც წმიდა მამის, რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის სახელით აკისრია ამ ადგილობრივ ეკლესიაზე პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება ყურადღებასა და ზრუნვაში, ერწყმის ერთი ტრაპეზის ირგვლივ ყოფნისა და ერთი პურითა და ერთი ბარძიმით საზრდოობის სიხარულს, საყოველთაო ეკლესიასთან სრული თანაზიარების შეგნებით.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში, აქ წარმოდგენილი თავისი სამი წესით, მისი სიმცირის მიუხედავად, ცოცხალი და მნიშვნელოვანი რეალობაა. ჩვენი ცხოვრების მიზანს წარმოადგენს სულიერ ზრდაზე ზრუნვა, ლიტურგიული მსახურებებისა და კატეხიზაციის გზით, რასაც თან ერთვის სოციალურ ქსელში ჩართულობა საქველმოქმედო და კულტურული საქმიანობებით. შეზღუდულნი ვართ მცირე შესაძლებლობებით, ღარიბნი და ზოგჯერ მარტონიც, მაგრამ გულს ხელი არასოდეს დაგვიკრეფია.

ისევ ცოცხლად გვახსოვს დავალება, რაც მოგვცა წმიდა მამამ, იოანე პავლე მეორემ, როდესაც ესტუმრა ჩვენს ქვეყანას, ვყოფილიყავით იესოს მოწმენი და გვეღვანა ერთო-

ბისათვის. ესაა, რაც განსაზღვრავს ყველა ჩვენს არჩევანს, მაშინაც კი, როცა ეს იოლი არაა, მეტიც, ხშირად რთულია ამ დავალების შესასრულებლად იბოვო კონკრეტული გზები.

თქვენი ჩვენს შორის ყოფნა და თქვენი სიტყვა ბიძგს მოგვცემს, რათა განვაახლოთ ჩვენი ერთგულება იესოსადმი ამ კათოლიკე ეკლესიაში, რომელიც გვიყვარს და რომლის მსახურებაც გვწადია. რაოდენ კარგია ჩვენთვის, თქვენი პიროვნების მეშვეობით, შევიგრძნოთ თავად წმიდა მამის, წმიდა საყდრისა და კერძოდ, აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაციის და სრულიად ეკლესიის ჩვენთან სიახლოვე. რაოდენ გვესაჭიროება ეს, სწორედ ახლა!

გმადლობთ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ყველაფრისათვის და გმადლობთ ამ ექპარისტის წამდლოლისათვის.

ნირვის დასრულების შემდეგ, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა კარდინალმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს და გადასცა წმიდა მამის ლოცვა-კურთხევა. კარდინალმა განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენია ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და, საქართველოს კათოლიკეების მიმართ განეული დიდი ამავის აღსანიშნავად, ბენედიქტე XVI-ის მიერ მინიჭებული მედალი გადასცა (იხ. ვარეკანის წინა ყდაზე).

რედაქცია





მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მიერ თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში წარმოთქმული ქადაგება

ფესვთა მრავალფეროვნება კიდევ უფრო წმიდას ხდის ქართველ ერს

სახარება გვისახავს ევანგელიზაციის ამოცანას, რათა ხელი შევუწყოთ ღმერთის გამარჯვებას ადამიანის შინაგან თუ გარეგან სისუსტეებზე, ყოველგვარ ჩაგვრაზე, ბოროტების უმცირეს გამოვლინებაზეც კი, იმ ყველაფერზე, რასაც შემოქმედის პირველყოფილი სულის შთაბერვის კვალი აღარ ეტყობა და ნელ-ნელა კვდება. სახარება მოგვიწოდებს, შევიცნოთ, რას ემყარება ცხოვრება, პიროვნული თუ საზოგადოებრივი, ღვთის მორჩილნი ვართ თუ ჩვენი ნებისა. ვართ კი ჩვენს ყოველღმერთ თავისუფლებაში შეგნებული მატარებლები უფლისწული იმედისა? თუ იმ ადამიანს ვემსგავსებით, რომელიც მოხიბლული შეჰყურებს მედიდურ და თვალწარმტაც მთებს, (ისეთს, როგორც საქართველოს მთებია) და ამ საოცრების ხილვას არ მიჰყავს იგი მისი შემოქმედის, ღმერთის, უზენაესი სილამაზის ძიებამდე?

როცა ქარიშხლის შემდეგ ღრუბლები გაიფანტება და მზე გამოანათებს, გამოჩნდება ცისარტყელა, როგორც მიწისა და ცის მაერთებელი ხიდი. ქრისტიანული თემის ცხოვრებამ უნდა განაგრძოს ეს ცისარტყელა. უპირველეს ყოვლისა, ოჯახში, რადგან ოჯახი განსხვავებულთა ერთობაა, მეუღლეთა სიყვარული კი წარმოშობს ახალ ქმნილებებს, ასე რომ ალამაზებენ ადამიანურ საზოგადოებას. დაე, ბავშვები გაიზრდონ რწმენაში და იცხოვრონ იესოსამებრ, რომელიც უზენაესი აზრისა სინამდვილისა. გააძლიერეთ ოჯახი, რომელიც ბურჯია ადამიანის თავისუფლებისა და, გვასწავლის რა თვითმიძღვნას, საზოგადოების შენებისთვისაა მოწოდებული.

არსებობს საეკლესიო ოჯახიც, გამდიდრებული მრავალფეროვანი რიტუალებით და ქცეული ქრისტეს ერთიან ეკლესიად. ყველა თქვენგანი, სომხური, ლათინური თუ ქალდეური წესის წარმომადგენელი, მოდის საკუთარი ტრადიციიდან, თავისი ლიტურგიული, თეოლოგიური და სულიერი მემკვიდრეობიდან. თითოეული ტრადიცია ცისარტყელის თითო ფერია, თავისი მეოხი წმიდანებით, რომლებმაც თავიანთი მოწმობით, ხშირად კი მონამებობითაც, სისხლით მორწყეს საქართველოს ისტორია. და მაინც, ერთადერთი ვინც გვისწავს, იესო ქრისტეა. ეს კარგად იცოდნენ თქვენმა წინაპრებმა და, სამოციქულო და პატრისტიკული ეპოქიდან მოყოლებული, ეს სახელი თქვენამდე მოიტანეს. მათ ნაღვანს, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა განმანათლებელი, წმიდა ნინო წარმოაჩინეს. ფესვთა მრავალ-

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობანო – წმიდა საყდრის დესპანო, მარეკ სოლჩინსკი, მონსინიორ ჯუზეპე პაზოტო და მონსინიორ მინასიან, „კარიტას ინტერნაციონალის-ის“ გენერალური მდივანო, ბ-ნო მიშელ რუა, ძვირფასო მღვდლებო და ბერ-მონაზვნებო, უფლისმიერნო ძმანო და დანო!

მადლობას ვუძღვნი უფალს, რომ საშუალება მომეცა, ვწვეოდი საქართველოს და მის ეკლესიებს. ღმერთის წყალობა გვაგრძნობინებს ექვარისტის, როგორც ერთიანობის საიდუმლოს, მნიშვნელობას. აქ ვხვდებით ქრისტეს, რომელიც თავისი არსებობის ყველაზე ღრმა ჭეშმარიტებას ჰპოვებს მამის ძეობაში. მისი თვითშენიშვნით კი ჩვენც „ერთობაში სრულვიქმნებით“. ამგვარად, ჩვენი ცხოვრება გამოხსნილი ხალხის ცხოვრებაა, რომელიც დღითიდღე „აშენებს ერთობას“, რისი მიღწევაც შესაძლებელია, რამეთუ ჩვენ ახალ ქმნილებებად ვიქცევით ქრისტეში.

თავდაპირველად არის ქმედება ღვთისა და მხოლოდ მისი წყალობით ვაღწევთ აღსრულებას. კაცობრიობა შემოქმედის სიტყვისგან შეიქმნა (იხ. დაბადება), რომელიც განუწყვეტლივ ილტვის ადამიანისკენ და მას საშუალებას აძლევს უპასუხოს: „მოდით, უფალო იესო!“ (იხ. გამოცხადება). როგორც პირველ საკითხავში მოვისმინეთ, წინასწარმეტყველი ოსია თვალწინაღვივებულს გვამცნობს მაცხოვრებელ ჩანაფიქრს: ღმერთმა „შეიყვარა და მოიხმო ისრაელი, ხელი ჩასჭიდა, სიკეთითა და სიყვარულით ატარა და დაიფარა იგი“ (მდრ. ოს. 11). ჯვარცმული ქრისტეს განგმირული ფერდი, რომლიდანაც შევსვამთ ჩვენს დღევანდელ საზიარებო წვეულებაზე, სანინდარია იმისა, რომ „ღმერთის გული კვლავაც ჩვენთვის ძვერს და სიბრალულით ივსება“, გრძნობს რა ჩვენს ადამიანურ სიმწირეს და მუდმივი განწმენდის საჭიროებას.

ფეროვნება კი კიდევ უფრო წმიდას ხდის ამ ცისარტყელას, ანუ ქართველ ერს. ჩვენს მართლმადიდებელ და-ძმებზე ფიქრისას, ვგრძნობთ გაყოფის ჭრილობით გამოწვეულ ტკივილს, მაგრამ გვახსენდება ქრისტიანული წყალობა, რომელიც კვლავაც გვაერთიანებს, წყალობა საიდუმლოთა და სამოციქულო მემკვიდრეობისა, და ვიცით, რომ ისინი ჩვენთან არიან და ჩვენთან ერთად იზიარებენ ღვთიური სიყვარულის ფერებს.

არც ერთი ფერი არ იარსებებდა სინათლის გარეშე: ამიტომაც გვიხმობს ეს უდიდესი საოცრება, ერთადერთი სინათლე, ნათელი იესო ქრისტესი, ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი, ცოცხალი უფლისა. ვუმზიროთ ამ ნათელს და ვიქცევით ცისა და მიწის მაერთებელ ხიდად. მაგრამ ეს ნათელი დაიბინდება, თუ ეკლესიურ ერთობაში არ განვმტკიცდებით. ერთობის გარანტი კი ჩვენი საყვარელი წმიდა მამაა. იგი თავის სამოციქულო ლოცვა-კურთხევას უძღვნის თქვენს ძვირფას ერსა და ქართველ კათოლიკეებს. მაშ, ვუერთგულოთ პეტრეს მემკვიდრეს, რომელიც განგვამტკიცებს რწმენასა და ერთობაში. ღმერთის ცა შორიდან და გულგრილად როდი დაჰყურებს

თქვენს ყოველღმერთ ცხოვრებას. ეკლესიებმა თავიანთი ერთობით უნდა დაამონწონ, რომ იესო ქრისტეში ყოვლადმონყაყლე ღმერთი მუდამ ჩვენს გვერდით დგას და იდგება.

საქართველოს ისტორია, მისი ანბანიცა და ლიტერატურაც, ქრისტიანობითაა გაყვლითილი. გაიფანტა ღრუბელი, ჩადგა ქარიშხალი, რომელიც ქართველთა გულებიდან ღმერთის მოწყვეტას ლამობდა. დაე, დღეს კვლავ გაიბრწყინოს ნათელმა, შუქმა მამისა, უფალმა ჩვენმა იესომ. ამიტომაც მოგმართავთ ნეტარი იოანე პავლე მეორის მიერ თბილისში წარმოთქმული დაუვიწყარი სიტყვებით: „დაე, ქრისტეს ნათელმა გაფანტოს, თუ რამ ჩრდილი და სიბნელეა თქვენს გულებში, თუ თქვენს ირგვლივ! მაშ, თამამად გაუღეთ გული ქრისტეს და მისი სიყვარულის მაცოცხლებელ ძალას!“ დაე, წმიდა ღვთისმშობელმა, თქვენთვის ესოდენ სათაყვანო, გააღვიძოს თქვენს სულში ამ უძვირფასესი პაპის მოწოდება: „ღმერთის ეკლესიავ, რომელი ხარ საქართველოსა შინა! ემსგავსე მთაზე ნაგებ ქალაქს, რომლის შუქიც შუემჩნეველი არვის დარჩება, არამედ იქცევა დასტურად ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისა, სიყვარულისა და მშვიდობისა“. ამინ!



სიზმარი მგონია, – ამბობს სიხარულით საცხე თვალებით კონსტანტინე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბიჭი, როდესაც პირველად დგამს ფეხს ცენტრში. ბოლოსდაბოლოს ლიფტი გვექნება, – თავის მხრივ შენიშნავს მარტინი, რომელსაც კარგად ესმის, რომ, სულ რამდენიმე დღით ადრე, თანამშრომლებსა და მოხალისეებს დაჰყავდათ იგი სართულიდან სართულზე ხელით, ძველ შენობაში. ბოლოსდაბოლოს ჩვენ გვექნება ოთახები, სადაც მუსიკა-თერაპიის კურსები ხელს არ შეუშლის ქარგვის ჯგუფს – ამბობს ალიონა, რომელიც უკვე კარგა ხანია მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გოგონებისთვის განკუთვნილ კურსებში. თანამშრომლებიც სიხარულით ათვალაიერებენ ვრცელ სპეციალიზებულ საპირფარეოებს, სადაც სრული უსაფრთხოებით იქნება შესაძლებელი ბენეფიციართა ჰიგიენური საჭიროებების დაკმაყოფილება. ცერებრული დამბლის მატარებელ ბავშვთა მშობლები კი აღტაცებით მიმოდიან ახალ სავარჯიშო დარბაზებში, სადაც მათი შვილები გაივლიან სამკურნალო პროცედურებს.

კამილიელთა გენერალური უფროსის, მამა რენატო სალვატორეს, კონსულტანტების, პიემონტესა და პოლონეთის პროვინცილების, წმიდა კამილოს ასულთა გენერალური უფროსის, დედა ლაურა ბიონდოს, საქართველოში სამოციქულო საყდრის დესპანისა და სამოქალაქო ხელისუფლების თანდასწრებით, ეპისკოპოსმა მეუფე ჯუზეპე პაზოტომ აღაგლინა წმიდა კამილოს მოსახსენიებელი ნირვა. მ. რენატომ ქადაგებაში აღნიშნა, რომ კამილიელები საკუთარ თავს უძღნიან ავადმყოფებს და ამას აკეთებენ პროფესიონალურად, ვინაიდან წმ. კამილოს სწავლება, მიუხედავად 400 წლის სიმორისა, კვლავაც აქტუალურია. ახალი ცენტრი არის ფუძემდებლის მოხმობაზე გაცემული ერთგული პასუხი და წარმოგვიდგება, როგორც ხელშესახები ნიშანი წმიდა კამილოს გარდაცვალების 400 წლის იუბილესათვის სამზადისში (1614–2014). ექვარისტის დასასრულს, გაიხსნა ერგოთერაპიისა და ფიზიოთერაპიის განყოფილებები და ის ოთახები, რომლებიც სამომავლოდ მიიღებს იმ პაციენტებს, ვისაც დასჭირდება სტაციონარული დახმარება.

◀ 933. დღე გაალამაზა წმიდა კამილოს ცენტრის ბენეფიციარების მიერ ასისტენტების ხელმძღვანელობით დადგმულმა სპექტაკლებმა და ლტოლვილ ბავშვთა გამოსვლებმა, ბავშვებისა, რომელთაც უკვე არაერთი წელია კამილიელები გვერდში უდგანან და ეხმარებიან.

ცენტრი აგებულია სამ სართულად, თითოეული 1000 კვადრატული მეტრია, რომლის თავზეც მდებარეობს ვრცელი მანსარადა. ეს შენობა მიიღებს ყოველდღიურად ორმოცდაათ ბენეფი-



ციარს ერგოთერაპიულ განყოფილებაში; კიდევ უფრო მეტნი ისარგებლებენ ფიზიოთერაპიით, ხოლო ოც ოთახში სტაციონარულად ორმოცამდე პაციენტის მიღება იქნება შესაძლებელი. ახალი ცენტრი წინ გადადგმული ნაბიჯია ძველ შენობასთან შედარებით, ვინაიდან გვთავაზობს ფართო სივრცეს, გადაადგილების შესაძლებლობებსა და ჰიგიენურ წერტილებს, რომლებიც შეესაბამება მათ მოთხოვნებს და მოძრაობის შეზღუდულ უნარს, რითაც წარმოადგენს ნიმუშსა და გამოწვევას ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემისათვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ახალი ცენტრის მასპინძლები, მათი მშობლები და ჩვენ, კამილიელი ბერ-მონაზვნები გამოვხატავენ ჩვენს გულწრფელ მადლობას ყველა მათ მიმართ, ვინც ირწმუნეს ეს ოცნება და საშუალება მოგვცეს, ამ ცენტრის გახსნის დღემდე მოვსულობით. ახლა კი, ამ მიზნის მიღწევასთან ერთად, მივანდობთ მთელ ჩვენს სამომავლო მისიას უფლის ხელთ, რომელიც გვერდში ედგა ამ საქმეს თავიდანვე. ვაკეთებთ ამას იმათი დახმარების იმედიტაც, ვინც გვერდში გვედგა დღემდე.

მ. პავლე დილი

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა დღესასწაული, 29 ივნისი, 2012

წმიდა საყდრის დესპანი მთავარეპისკოპოსი მარეკ სოლჩინსკი

რამ ერთი საქმისთვის – ქრისტეს ტაძრის აშენებისათვის იღვაწეს (იხ. ქადაგება 28.VI.2007).

წმიდა ავგუსტინე წერს: „ამ ორ მოციქულს მხოლოდ ერთი დღე ეძღვნება, მაგრამ ისინი ხომ ერთნი იყვნენ. მართალია, სხვადასხვა დღეს ეწამნენ, მაგრამ მაინც ერთნი იყვნენ. პეტრე წარუძღვა, პავლე კი მიჰყვა... ამიტომაც ვზეიომობთ ამ დღეს, ჩვენთვის განწმენილის მოციქულთა სისხლით“.

მისიამ, რომელიც პეტრესა და პავლეს აკავშირებდა, განსაკუთრებული აზრი შეიძინა რომში, სადაც ორივე ქრისტესთვის ეწამა. მოციქულთა ხანის ერთი ძველი გადმოცემა გვიამბობს, რომ ისინი წამებამდე უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს, წმ. პავლეს დღევანდელი ბაზილიკის მახლობლად. გადმოცემის თანახმად, მათ ერთმანეთი გულში ჩაიკრეს და დალოცეს. ბაზილიკის დიდ კარიბჭეზე პეტრე და პავლე ერთად არიან გამოსახულნი, თითოეული მათგანის წამების ამსახველი სცენებით.

როგორც წმიდა პეტრეს ნეშტია დაცული მისი წამების ადგილას აგებული ვატიკანის ბაზილიკაში, ასევე წმიდა პავლეს სხეული განისვენებს მისივე სახელობის, „ძველი რომის კედლებს გარეთ“ აგებული ბაზილიკის პაპებისთვის განკუთვნილი საკურთხეველის ქვეშ მოთავსებულ სარკოფაგში. ამიტომაც პეტრე და პავლე, მათი წამებიდან მოყოლებული, სამართლიანად ითვლებიან რომის ეკლესიის დამაარსებლად.

მათი მისიის არაჩვეულებრივი სამოციქულო შედეგები არის და უნდა იყოს კიდევ ეკლესიის ნაყოფიერების შესახებ გამუდმებული

„აი, წმიდა მოციქულნი, რომლებმაც მიწიერ ცხოვრებაში თავიანთი სისხლით გაანაყოფიერეს ეკლესია, შესვეს თავი უფლისა, და იქცნენ მეგობრად ღვთისა“

მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა, თქვენთან ერთად აღვნიშნო ამ ორი დიდი მოციქულის დღესასწაული და მადლობას მოგახსენებთ ლოცვისათვის, რომელსაც ერთად აღვავლენთ. განსაკუთრებულ საღამოს გიძღვნი თქვენ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, მეუფე ჯუზეპე; მივესალმები მამა ადამს, რომელმაც მომიწვია; მის თანამშრომლებს, მამა მაჩისა და მამა არტურს, საღამო მღვდლებს, ბერ-მონაზვნებს, დღევანდელ წმიდა წირვაზე დამსწრე ყოველ თქვენგანს.

ყველამ ვიცით, ვინ არიან ჩვენი დღევანდელი იუბილარები – პეტრე და პავლე.

წმიდა მამა ბენედიქტე XVI გვახსენებს, რომ ქრისტიანული ტრადიცია პეტრესა და პავლეს იმთავითვე ერთმანეთისგან განუყოფლად მოიაზრებდა, თუმცა თითოეულ მათგანს თავისი განსხვავებული მისია ჰქონდა დაკისრებული: პეტრემ პირველმა იწამა იესო ქრისტე, პავლეს კი წილად ხვდა წყალობა იმისა, რომ გაეღრმავებინა და გაემდიდრებინა რწმენა. პეტრემ დააარსა რჩეული ერის, ანუ ებრაელებისგან შემდგარი პირველი ქრისტიანული თემი, პავლე კი წარმართთა მოციქული გახდა. მათ სხვადასხვა ქარიზმით, მაგ-

და ღრმა განსჯის საგანი, ეკლესიისა, რომელიც მოწოდებულია, იყოს ხსნის საყოველთაო საიდუმლო ყოველი ადამიანისათვის. ამიტომ ჩვენც, მოძღვრები და მრევლი, ჩაღრმავებულნი ჩვენს ქართულ სინამდვილეში, ვცდილობთ, მოკლედ განვიხილოთ ამ ორი მოციქულის მისიის ზოგიერთი ასპექტი, რათა ჩვენს სამოციქულო საქმიანობაში ისინი გზის მაჩვენებლებად დავისახოთ.

ყურადღებას მივაპყრობთ რა წმიდა პეტრესა და პავლეს მისიონერულ ძალისხმევას, უპირველეს ყოვლისა, შევნიშნავთ, რომ ორივე ერთგული დარჩა თავისი მოწოდებისა – ყოფილიყო იესო ქრისტეს მოციქული და მსახური...

ღვთიური რჩეულობის უანგარობა წმიდა პავლემ განიცადა, უპირველეს ყოვლისა, დამასკოს გზაზე, როცა მოესმა მკვდრეთით აღმდგარი იესოს ხმა. იმ წამიდან მოყოლებული, მან შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა და ქრისტესმიერი ხსნის სასიხარულო ცნობა აუწყა რომის იმპერიის მკვიდრთ მცირე აზიაში (დღევანდელ თურქეთში), საბერძენეთსა და, რა თქმა უნდა, ქალაქ რომში, დააფუძნა რა ყველგან ახალი ქრისტიანული თემები. ამ დიდი და ნაყოფიერი სამრევლო საქმიანობის გამო, მას „ხალხთა მოციქულად“ მოიხსენიებენ.

მისი, როგორც მოციქულის საოცარი წარმატებები არც დიდი მტვერმტყვევლებისა და არც დახვეწილი აპოლოგეტიკური თუ მისიონერული სტრატეგიის შედეგი არაა. ამ წარმატების მიზეზი სახარების გაცხადებისათვის გამოჩენილი პირადი ძალისხმევა და ქრისტესადმი თავდადებული მსახურებაა, თავდადება, რომელიც არ უშინდებოდა არც ხიფათს, არც სირთულეს, არც დევნას...

ტიმოთეს მიმართ წერილში, პავლე წარმოთქვამს თავის ცნობილ სიტყვას, რომელიც სიცოცხლის დასასრულს დაწერა და რომლითაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქრისტესადმი სრულ თავდადებას მისდამი მინდობილ მისიაში: „ჩემი სისხლი მალე დაიღვრება შესაწირად და დადგა უამი აფრების გაშლისა. დიდი ბრძოლა გადავიტანე, რბოლა დავასრულე, რწმენა შევიწარმინე“.

პეტრეც, საპყრობილეში ყოფნისას, ლოცვით გაძლიერებული და ცხიდან ანგელოზის მიერ სასწაულებრივ დახსნილი, ამტკიცებს უფლისადმი თავის თავდადებას: „ახლა ქეშმარიტად ვიცი, რომ უფალმა გამოგზავნა თავისი ანგელოზი და დამიხსნა ჰეროდეს ხელიდან და ყოველივესგან, რასაც იუდეველი ხალხი ელოდა“.

და აი, კიდევ ერთი სასარგებლო მითითება ჩვენი სამოციქულო საქმიანობისთვის, რომელიც, სხვათა შორის, წმიდა მამისგან მოგვეცა, რომელიც წერს, რომ ამ ორი დიდი მოციქულის მიერ განხორციელებული საევანგელიზაციო მისიის წარმატება გვასწავლის, რომ „ეკლესიის საქმიანობა მხოლოდ იმდენადანაა სანდო და ქმედითი, რამდენადაც მისი წევრები, ნებისმიერ სიტუაციაში, მზად არიან პიროვნული მსხვერპლი გაიღონ ქრისტესადმი ერთგულებისათვის“. იქ, სადაც ასეთი მზადყოფნის ნაკლებობაა, აღარც ტეშმარტების ის გადაწყვეტი არგუმენტი არსებობს, რომელზეც თავად ეკლესიაა დამოკიდებული“.

პაპის ამ სიტყვებში ვპოულობთ სათანადო პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად ნაყოფიერია ჩვენი მისია იესო ქრისტეს მოწაფეობისა, რისთვისაც მოწოდებულნი ვართ იმ დღიდან, როცა ნათლობის საიდუმლო მივიღეთ და რომელშიც კვლავ განვმტკიცდით მირონცხების დროს...

ჩვენ კი რით ვუპასუხებთ სიცოცხლის, რწმენის, უფლის მოწაფედ არჩევის ამ წყალობას? ყოველთვის ვიყავით კი მზად, პიროვნული მსხვერპლი გავგელო ქრისტესა და მისი სახარებისადმი ერთგულებისათვის? ყოველთვის შეგნებული გვაქვს, თუ რა ფასი უნდა გადავიხადოთ მხოლოდ იმისათვის, რომ ვეკუთვნიოთ ქრისტესა და მის ეკლესიას?

პეტრემ არა მხოლოდ სიტყვებით დადასტურა თავისი რწმენა ქრისტესადმი, ცოცხალი ღმერთის ძისადმი, როგორც ეს დღევანდელ საკითხავში მოვისმინეთ, არამედ აღესრულა კიდევ იმავე ქრისტე-

სათვის. ასევე პავლემაც, სანამ ძალადობრივად მოკლავდნენ, განაცხადა, რომ დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა.

მაინც რა ბრძოლაა ის, რისი გადატანაც ჩვენ გვიწევს ჩვენს საცხოვრებელ გარემოში?

როგორი მოწმენი ვართ ქრისტესი – სარწმუნონი თუ ნაკლებად სანდონი? როგორი ძალისხმევით ვცხადებთ თუ ვიცავთ სახარებას ჩვენს ცხოვრებაში? რომელ ფასეულობას ვანიჭებთ უპირატესობას ცხოვრებაში – სახარებისეულს თუ ამქვეყნიურს, მოდას აყოლილს, საერო კულტურითა და პოლიტიკით ნაკარნახევს?

აი, ძვირფასო ძმანო და დანო, ის კითხვები, რომლებსაც წმიდა პეტრესა და პავლესადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ვუსვამ საკუთარ თავსაც და თქვენც, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს არა მხოლოდ ჩვენი პიროვნული რწმენის, ჩვენი სიყვარულისა თუ ჩვენი ცხოვრების ხარისხს, არამედ, უპირველეს ყოვლისა თვით ჩვენი, როგორც ეკლესიის მომავალსაც.

წმიდა მოციქულების, პეტრესა და პავლეს ძალისხმევის შედეგად შეიქმნა და განიცხოვრა უამრავი ქრისტიანული თემი წმიდა მიწაზე და მის საზღვრებს გარეთ; მათმა მოციქულებრივმა ღვაწლმა ეკლესიას ფესვები გაუდგა ევროპაშიც და აქაც, საქართველოს მიწაზე.

დღეს კი ვისზეა დამოკიდებული (ცხადია, ადამიანური და არა ღვთაებრივი თვალსაზრისით) ეკლესიის ზრდა და ღვთის სასუფეველის გაფართოება საქართველოში? პასუხი იოლია: ეკლესიის ცხოვრების ხარისხი და ინტენსივობა ამ მიწაზე დამოკიდებულია ჩვენზეც და ქრისტესადმი ჩვენს თავდადებაზეც! დღეს ჩვენ ვართ ქრისტეს მოციქულნი, და თუ ვერ ვახერხებთ მოციქულობას, არ ვიცით, რა და როგორ ვაკეთოთ, მაშინ მზერა მივაპყროთ მათ, ვინც ჩვენამდე აკეთა ეს საქმე და მივბაძოთ მათ!

დაბოლოს, მსურს, კვლავ მივუბრუნდე წმიდა მამისა და წმიდა ავგუსტინეს სიტყვებს, რომლებიც ქადაგების დასაწყისში მოვიტანე. მაშინ ვთქვი, რომ პეტრე და პავლე, თუმც სხვადასხვა ქარიზმით, მაგრამ ერთისა და იმავე საქმისათვის დაშვრნენ. ეს გახლავთ ქრისტეს ეკლესიის მშენებლობა. და ამ საქმეში ისინი ერთნი იყვნენ. თუ კარგად ჩავუფიქრებთ, ადამიანს, რომელმაც კარგად იცის პეტრესა და პავლეს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ეს მოსაზრებები შესაძლოა გადაჭარბებულადაც ეჩვენოს. მართლაც, ხომ ცნობილია, რომ ეს ორი მოციქული ცალ-ცალკე და განსხვავებულ გარემოში მოღვაწეობდა, ცხოვრებაშიც იშვიათად თუ შეხვედრია ერთმანეთს, მეტიც, პავლემ უსაყვედურა კიდევ პეტრეს მოსეს რჯულის კანონის პატივისცემის საკითხისადმი არათანმიმდევრული დამოკიდებულების გამო. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ვერავინ უარყოფს მათ ძალისხმევას ქრისტეს ეკლესიის მშენებლობის საქმეში, ვერც მის ინსტიტუციონალურ განზომილებაში, რომელსაც პეტრე წარმოადგენს, და ვერც ქარიზმატულ განზომილებაში, რომელსაც პავლე განასახიერებს. ახალფესვადგმულ ეკლესიაში მათ განსხვავებული როლები ეკისრებოდათ, მისია კი ერთი ჰქონდათ – ყველა ადამიანი დაეახლოვებინათ ქრისტეს საიდუმლოსთან. მათი გამოცდილება მკვდარი და მკვდრეთით აღმდგარი უფლისა იმდენად ძლიერი იყო, რომ ამან პატივმოყვარეობა და პირადი ქიშპი გადააღაპრებინა მათ. ისინი ქრისტეს ეკუთვნოდნენ, რადგან იცოდნენ და სწამდათ, რომ ქრისტე მათ ეკუთვნოდათ. ამიტომაც არ ცდილობდნენ, რომ საიდუმლო, რომლის მოწმენიც თავად იყვნენ, თავიანთ ადამიანურ მოლოდინამდე დაეყვანათ, რადგან ძალიან კარგად იცნობდნენ თავიანთ ადამიანურ სიმცირეს და, უპირველეს ყოვლისა, იმ წყალობის სიდიადეს, რომლის თანამონაწილენიც იყვნენ. ამიტომაც, თუმც სხვადასხვა ქარიზმით, ერთი საქმისთვის იღვაწეს.

დაე, წმიდა პეტრე და პავლე მიგვიძლიდნენ წინ და გვიფარავდნენ ცოცხალი ღმერთის ძის, ქრისტეს მოწაფეობისა და მოციქულობის ჩვენეულ მისიაში. ამინ!

(იბეჭდება შემოკლებით)

ლათინები თუ ფილოლათინები?

„ახლა ვნახოთ, როგორი „ძმური განწყობა“ ჰქონდა ათონზე ლათინების მიმართ ივერონს და პირიქით: 1274 წელს ლათინებმა დაარბიეს ივერონის საძმო, ლათინებმა და არა ჯვაროსნებმა, მაგრამ შედეგის-

ვის ამას მნიშვნელობა არა აქვს და ამგვარი ქმედებანი ათონზე ლათინთა ბატონობის დროს ხშირი იყო“.
(Д. Оболенский, Византийских портретов М. Янус-к, 1998, ც. 500)

(დასასრული, დასაწყისი „საბა“, №6,7 2012)

მას შემდეგ, რაც ზოგადად მიმოვიხილეთ XIII საუკუნე, მინდა, ისევ დავუბრუნდე 1274 წელს ათონის მთაზე მომხდარ მოვლენას. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ამბებში ურევია არა ლათინების ხელი, არამედ ფილოლათინების, რამდენადაც ეს მოვლენები განვითარდა ფილოლათინებსა და ანტილათინებს შორის გაჩაღებული ბრძოლის ფონზე, ანუ რომის ეკლესიის მომხრე და მოწინააღმდეგე მხარეთა შორის. ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ათონის მთის მონასტრის ბერები, მათთან ერთად ეკლესიისა და საიმპერიო ამაღის წარმომადგენლები, ასევე, ხელოვნების მოღვაწეები. მართლმადიდებლური კალენდრები განსხვავებულად მოიხსენებენ ამ ფაქტებს: 13 მაისით დათარიღებულ ერთ-ერთ მართლმადიდებლურ კალენდარში ასე წერია: „**ივერონის მონასტრის წმიდათა და მარტვილთა მოხსენიება, რომელნიც, ფილოლათინი პატრიარქის იოანე ბეკოსის ჟამს, ლათინთა მიერ ზღვაში დამხრჩვალნი, არ განუდგნენ მართლმადიდებლურ რწმენას**“. აქ ცოტა უცნაურად გვეჩვენება ლათინებისა და ფილოლათინი პატრიარქის ერთად მოხსენიება. უფრო ლოგიკურია, როცა ბერძნული ეკლესიის კალენდარი მოიხსენიებს 22 სექტემბერს ფილოლათინების მიერ მოკლულ სხვა წამებულ წმიდანებს. აქ საუბარია ზოგრაფის (Zographou) მონასტრის ანტიუნიატ ბერებზე, ანუ ათონის მთაზე ბულგარულ მონასტერში მოღვაწე ბერებზე. ამბობენ, რომ კარგად შეიარაღებულმა ფილოლათინებმა (და არა ლათინებმა), მიაღწიეს ათონის მთას და იარაღის ძალით ჩაახშვეს სხვადასხვა მონასტრის ამბოხებები. ბოლოს ზოგრაფის მონასტრამდეც მივიდნენ და სჯეროდათ, რომ ბერებს ერთიანობაზე დაითანხმებდნენ. წმინდა მთისათვის ამ საშინელ წელს, ერთი ბერი ზოგრაფის მონასტერთან ახლოს ცხოვრობდა; მას ჩვეულებად ჰქონდა, დღეში რამდენჯერმე თავის კელიაში *თეოტოკოსის* (ღვთისმშობლის) ხატის წინ ღვთისმშობლის დაუჯდომელი საგალობელი წაეკითხა. ერთ დღეს, როდესაც ლოცულობდა, მან წარმოთქვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მოკითხვა: „სალეე“, და უცებ წმიდა ხატისგან პასუხი გაიგონა: „შენც გიხაროდენ, ღმერთის მსახურო!“ ამის შემდეგ, ხატმა მას უბრძანა, რომ ზოგრაფის მონასტერში წასულიყო და ილუმენისა და იქ მყოფი სულიერი ძმებისთვის ეუწყებინა, რომ მტერი ახლოვდებოდა: ვისაც შიში შეიპყრობდა, შეეძლო, სამალავისთვის შეეფარებინა თავი და საშიშროების გასვლამდე იქ დარჩენილიყო. ხოლო დანარჩენებს, ძლიერებსა და გაბედულებს, მშვიდად უნდა მიეღოთ მარტვილობა. მოხუცი ბერი დაემორჩილა ღვთისმშობლის ბრძანებას და მაშინვე მონასტერს მიაშურა, რათა ძმებისთვის მოახლოებულ საშიშ-

როებაზე დაფიქრების საშუალება მიეცა. მაგრამ როგორც კი მონასტრის ზღურბლს გადააბიჯა, ის ხატი, რომელიც მას კელიაში ეკიდა, მონასტრის კარებში დახვდა. გულაჩუყებულ ბერი მის წინაშე მუხლებზე დაეცა; მერე მონასტრის ილუმენს ხატთან ერთად ეახლა და ყველაფერი აუწყა. მონასტრის ოცდაექვსივე ბერმა, ილუმენის ჩათვლით, იქ დარჩენა არჩია: ისინი მტრის მოსვლას დაელოდნენ. სულ მალე ფილოლათინებმაც მოაღწიეს, რომლებმაც მათ წარუდგინეს თავიანთი თეორიები თეოლოგიურ და საეკლესიო სადავო საკითხებზე. ბერებმა მიუგეს, რომ მათთვის ეკლესიის ერთადერთი თავი არის, იყო და იქნება იესო ქრისტე, და რომ ისინი მზად არიან წამებისთვის. 1276 წლის 10 ოქტომბერს აღიმართა ოცდაექვსი ბერის სამსხვერპლო, ისინი მტრების წინააღმდეგ ცოცხალ მახვილებად გადაიქცნენ. წამებული ბერების ცხოვრებას შეგიძლიათ გაეცნოთ „ნიკოდემუს აგიორითელის ახალ მარტიროლოგიაში“. ვატოპედის (Vatopedi) მონასტრის სხვა ბერები კარიესში (Karyes) გაამწესეს, სხვები ზღვაში გადაყარეს და დაახრჩვეს.

რა შეიძლება ითქვას ხსოვნის ამ ორი აღსანიშნავი თარიღის ირგვლივ, სადაც პირველი თარიღი – 13 მაისი – შეიძლება ნაკლებად „ფილო“ იყოს, 22 სექტემბრის თარიღთან შედარებით, ან შეიძლება სულაც 22 სექტემბრის თარიღი გამოჩნდეს ზედმეტად „ფილო“ 13 მაისის ფონზე? მხოლოდ უბრალო პრეფიქსი რომ კმაროდეს, – *ამ შემთხვევაში „ფილო“*, – მთელი ამ ფრაზის დედაარსის, ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციისა და, აქედან გამომდინარე, ეკლესიათა შორის ურთიერთობების შესაცვლელად, რა მარტივად იქნებოდა ყველაფერი! სინამდვილეში, საქმე სულ სხვაგვარადაა. მოცემული და სხვა მისი მსგავსი ფაქტებიდან (რაც მოიმოქმედეს ფილოლათინებმა, ანტილათინებმა, თუ თავად ლათინებმა) საკმარისია, გავიხსენოთ ანდრონიკე II-ის იმპერტორობის დროს მომხდარი ამბები, როდესაც 6500 კაცისგან შემდგარი დაქირავებული ჯარისკაცები ორი წლის მანძილზე (1305-1307) ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ათონის მონასტრებს; ათონის მთა დღემდე რჩება რომის ეკლესიასთან ერთიანობის მოწინააღმდეგე ძლიერ ბურჯად და მართლმადიდებლობის სინმინდის სიმბოლოდ.

საინტერესოა, გავეცნოთ ათონის მთის მონასტრების დაარსების ისტორიას და ათონის ლავრის დამაარსებლის, წმიდა ათანასეს ცხოვრებას, იმისათვის, რომ გავიგოთ X საუკუნეში როგორი განსხვავებული აზრი არსებობდა დასავლური ეკლესიის მიმართ! ამასთან დაკავშირებით, სამაგალითოა ამალფიტანის მონასტრის ისტორია. 990 წელს ათონის მთაზე გამოჩნდა ბერი ლეონ ამალფელი (Amalfi), კაპუას პრინცის, პანდოლფის ძმა. ამ ეპოქაში სამხრეთ იტალიის

რამდენიმე ქალაქი (კაპუა, ნეაპოლი, ბენევენტო, გაეტა) ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყო. ამალფიტანელების ნავმა აღმოსავლეთისკენ გაცურა. ლეონი და მისი მეგობრები პირველად ივერონის ქართულ მონასტერში მიიღეს. აქ მოღვაწეობდნენ იოანე და ექვთიმე, რომლებმაც მინის ნაკვეთი აიღეს და იტალიელ ბერებს მონასტრის აგებაში დაეხმარნენ. მონასტერი ლათინური რიტისა და წმიდა ბენედიქტეს წესის მიმდევარი იყო. ამალფიტანის მონასტრის აბატები ათონის საკრებულოს აქტებს ხელს აწერენ 1083, 1087, 1169 წლებში, ანუ 1054 წლის სქიზმის შემდეგ. ეს ფაქტი მეტყველებს არა მხოლოდ იმაზე, რომ პატრიარქ მიხეილ კერულარიუსისა და პაპის ლეგატების მიერ ურთიერთშეჩვენება დიპლომატიური კავშირის გაწყვეტას მოასწავებდა, არამედ „წმიდა მთაზე“ არსებულ კავშირებზეც. ჩვენ არ ვიცით, თუ რა მიზეზით მიატოვეს მონასტერი ამალფიტანელებმა. ამ ლეგენდასთან ერთად, დღემდე იხსენებენ იმას, როგორ უტყვედა შეიარაღებულ მხედრებთან ერთად თავად პაპი ზოგრაფის მონასტერს, რაც აშკარად მეტყველებს იმ საშინელ ძალადობაზე (თვით იდეოლოგიური კუთხითაც), რაც ოცდაექვსი წამებული ბერის შესახებ არის მოთხრობილი.

დასკვნა

როდესაც 1274 წლის ამ ეპიზოდს, ან მის მსგავს ფაქტებს ვეცნობით, და ვხედავთ, როგორი იყო „ლათინთა ძმობა“, შეუძლებელია, სევდამ არ შეგვიპყროს. სევდის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ ამ ეპიზოდებით მანიპულირებენ, რათა აჩვენონ, როგორი არასანდონი იყვნენ მაშინდელი ლათინები „მთლიანობაში“, და როგორები არიან დღეს. სინამდვილეში, აქ ჩვენ ისტორიის საზღვრებს ვცილდებით, თუნდაც იმიტომ, რომ ვივინყებთ იმ რთულ პერიოდს, რომელიც საკმაო კომპეტენციას მოითხოვს, და რომ ეს მოვლენები ისეთ ისტორიულ ეპოქას მიეკუთვნება, რაც უდავოდ ითხოვს გადამოწმებას, თუკი გვინდა, რომ არ მოხდეს ფაქტების ცალმხრივად განალიზება. საქმე ესება არა მხოლოდ იმდროინდელ ფაქტს, არამედ მის, როგორც ბასრი მახვილის, გამოყენებას დღეს, თითქოს ისტორიაში ყველაფერი კანონზომიერად ხდებოდეს, მსგავსი ხასიათის ეპიზოდებსაც უწყვეტი სახე ჰქონდეს და

ცვლილების არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობოდეს: რაკი 1274 წელს ფილოლათინები, ან ლათინები ასე მოქცნენ, მათ დღესაც ასე შეუძლიათ მოქცევა! რომ ისტორიული კონცეფცია მეტად მექანიკური, ფატალისტური, განმეორებადია.

და ბოლოს, XIII საუკუნის ამ მოვლენების ფონზე, რატომაც არ უნდა გავიხსენოთ ისეთი დიადი და კეთილშობილური იდეალები, როგორიც იყო წმიდა მინის გათავისუფლება, ეკლესიათა უნიფიკაცია, ინტენსიური ხასიათის მიმონერები იმ საუკუნის პაპებსა და ქართველ მეფეებსა თუ თავადებს შორის, რომლებიც ერთმანეთის სურვილების ძმურ გაზიარებაზე მეტყველებენ?

ცხადია, ყველაფერი, რაც მე დავწერე, ისტორიის ერთგვარი ინტერპრეტაციაა; საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, ისტორიის რომელი ინტერპრეტაცია მიესადაგება ყველაზე მეტად რეალობას, რა უფრო მეტად დაეხმარება მშვიდობისა და პატივისცემის გაღვივებას. დასავლურ ქრისტიანობას, აცნობიერებს რა შეცდომებს, რამაც ხელი შეუწყო ეკლესიის ერთიანობის რღვევას XIII საუკუნეში, სჯერა, რომ ეკლესიათა ერთიანობისთვის ალებული მოვალეობა უწვეტი ძიების მოვალეობად უნდა დარჩეს, და უნდა წარიმართოს მხოლოდ სახარების სულით გაჯერებული მეთოდებით და გაუთიშავი ეკლესიების საერთო ტრადიციების გათვალისწინებით. თუკი ათონის მთის მონასტრები დღემდე განსხვავებულ სახეს ინარჩუნებენ და, გარკვეული თვალსაზრისით, ამ მოვალეობის ერთგულებიც არიან, ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია ის ფაქტი, რომ მაგალითად, დასავლეთში ბერ-მონაზონთა მრავალი საკრებულო ცდილობს, შეხვედრების, დიალოგის გზით, გამოცდილების გაზიარებით, პილიგრიმობით, პუბლიკაციების, განსჯისა და დამობილების გზით, მხარი დაუჭიროს ამ მოვალეობას, მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად, რათა ორმხრივად მოხდეს ურთიერთშეცნობა და დაკარგული პატივისცემის აღდგენა.

თუკი ვინმეს მოეპოვება გარკვეული ინფორმაცია, რაიმე ფაქტები ან დეტალები, რაც ნათელს მოჰფენს 1274 წლის მოვლენებს, მზად ვართ, გავიზიაროთ.

მამა გაბრიელ პრაგანტინი



ზოგრაფის მონასტერი

პეტრე-პავლეს ეკლესიის გუნდი

კათოლიკურ ეკლესიაში, ნირვის მსვლელობის დროს, უდიდესი როლი ეკისრება ორგანს და მგალობელთა გუნდს.

თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში უძველესი, ტაძრის ასაკის ორგანი გუგუნებს, რომელსაც აუღერებს ლილი მელიქ-მარუტოვა – უპრეტენზიო, ყოველთვის მომღიძარი და თავისი საქმის პროფესიონალი ქალბატონი. სასიამოვნოა მასთან ურთიერთობა, ის ყოველთვის მზადაა დაგეხმაროს, შეგაქოს, გაგამხნევოს...

ხუთიოდე წლის წინ, თუკი ეკლესიასთან ჩაივლიდით და ყურს მიუგდებდით გალობას, გეგონებოდათ, რომ ბავშვები ერთ ხმაში მღეროდნენ. უფრო ადრე, როცა ეკლესიის გუნდის რეგენტი პროფესიონალი ეთერ ნიკოლაიშვილი იყო, მგალობელთა გუნდი მხოლოდ ბავშვებისაგან შედგებოდა, რომელთაც ქალბატონი ეთერი წლების განმავლობაში დიდი რუფუნებით ამეცადინებდა. გუნდიც ბავშვთა ხმების დიპაზონის შესაფერის რეპერტუარს გალობდა. დღევანდელი გუნდი კი, მცირე განმარტების გარდა, დაკომპლექტებულია ინტელიგენციის ასაკოვანი წარმომადგენლებისგან, რომელთაც მუსიკალური განათლება, მით უმეტეს, ვოკალური არა აქვთ.

აი, ასეთ გუნდს სათავეში ჩაუდგა პროფესიონალი მუსიკოსი კარინა ოსიპოვა, რომელმაც სულ მცირე დროში

თითქმის სასწაული მოახდინა და შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბა. ხშირად, როდესაც არ მოიპოვება დასავლურ საგალობელთა ნოტები, ქალბატონი კარინა, თუმცა ვოკალისტი არაა, თავად გალობს სუფთა ინტონაციით და ხელის საოცარი მოძრაობით მიჰყვება მელოდიის რიტმს. თვალს ადევნებ მას და გალობ მასთან ერთად.

ყველაფერ ამას წინ უძღვის რეპეტიციები, რომლებიც ზოგჯერ ძალიან დიდხანს, მაგრამ ძალდაუტანებლად, დიდი ტაქტით, მხიარული ანეგდოტების, მოგონებების თანხლებით მიმდინარეობს. ამ სასიამოვნო გარემოს კი ქმნის ქ-ნი კარინა. აღარაფერს ვამბობ მასზე, როგორც შესანიშნავ, თავისი საქმის პროფესიონალ კატეხისტზე.

მოკლედ რომ ვთქვათ, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მგალობელთა გუნდში, მისი თითოეული წევრისა და ხელმძღვანელის, კარინას წყალობით, სასიამოვნო გარემოა შექმნილი.

ორიოდე სიტყვა გუნდის წევრებზეც უნდა ითქვას:

მაღალი ხმებიდან ტიპური წმიდა ხმა ოლია კოსტანავას აქვს; ასაკის მიუხედავად, ულამაზესი ხმის ტემბრი აქვს ლამზირა ელისაშვილი; ამ ხმებისგან კონტრასტული, ზარივით მკვეთრი ხმით გამოირჩევა მარგარიტა იუხანოვა; ნადია ჩიტაძე კი მრავალი წელია, დიდი ოსტატობით კითხულობს და გალობს ფსალ-

მუნებს. აღსანიშნავია ირინა კოზლოვსკაიას, ირინა პროკოფიევას, ვალენტინა ბაზილაკის და ვენერა დუმანოვას შესანიშნავი ხმები.

გუნდის ასაკოვან წევრებს გვერდს უმშვენიერებენ ახალგაზრდები. მათგან ფსალმუნების გალობის ყველაზე დიდი გამოცდილება მაია ანთიქეს აქვს. შესანიშნავი მგალობელია მერაბ მეურმიშვილი და უმშვენიერესი ხმის მქონე ელენე მარიამიძე, რომელიც ორი წელია პროფესიულ ვოკალს ეუფლება. ელენე სიმონიშვილი და თეკლა ჯუღელიც ახალგაზრდული პლეადის წარმომადგენლები არიან.

მესამე წელია, გუნდში გალობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები: სიონის ტაძრის მგალობელი შოთა კანდელაკი და პროფესიონალი პიანისტი და მომღერალი მანონ ყუბანიშვილი, რომელიც ხშირად, ნირვის შემდეგ ასრულებს კლასიკური მუსიკის, რელიგიურ თემებზე შექმნილ მსოფლიო შედეგებს. ახლახანს გუნდს შეუერთდა პროფესიონალი გიტარისტი როლანდ აბლოთია.

გუნდის რეპერტუარი მრავალფეროვანია. კერძოდ, სრულდება ჯუღილი კაჩინის, გაეტანო დონიციეტის „ავე მარია“; მარკო ფრიზინას „მესა“, „წმიდა არს“, „სული ქრისტესაო“; გალუსცკას „დიდება“; უკაშ მროუეკის სამნაწილიანი მესა – „კირიე“, „სანქტუს“, „აგნუს დეი“; ცეზარ ფრანკის „ანგელოზის პური“; ა. ვიტალინის „ავე მარია“; დ. ბუქსტუჟედეს „უმღერეთ უფალს“; ადოლფ ადამიას „ო, ღვთაებრივო ღამე“. გუნდი ასევე ასრულებს ქართულ საგალობელს „შენ ხარ ვენახი“ და სხვა მრავალ რთულ ნაწარმოებს.

გუნდის გალობას შესანიშნავად ეხამება მამა ადამ ოხალის სასიამოვნო ტემბრის ხმა. იგი ხშირად ესწრება გუნდის რეპეტიციებს, რათა სრულყოფილი ნირვის მსვლელობისას ფსალმუნების გალობა. მამა ადამის წყალობით, გუნდს ყოველ წელიწადს აქვს კარგი პირობებში ერთკვირიანი დასვენების საშუალება.

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მგალობელთა გუნდს ვუსურვოთ წინსვლა, სამღვდლოებასა და მრევლს კი ღვთის შენევა.

მანონ ყუბანიშვილი



ვალეს ეკლესიის მგალობელთა გუნდი “მწვანე მონასტერსა” და ბორჯომში

18 ივლისს, ვალეს სამრევლოს გუნდის წევრები ბორჯომში გავემგზავრეთ. ვიცოდით, რომ წინ კიდევ ერთი დაუეინყარი დღე გველოდა. ყველამ ერთად ვილოცეთ მშვიდობიანი მგზავრობისათვის და ხალისიანი განწყობით გავემართეთ ბორჯომის ხეობისკენ.

როგორც მოგეხსენებათ, „მწვანე მონასტერი“ ბორჯომთან ახლოს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ხეობის ორივე ნაპირი კლდოვანია და წინვოვანი ტყითაა დაფარული, კლდეებსა და ქვებს კი ხავსი აქვს მოდებული. მთელი ხეობა მწვანეა ჩაფლული და მნახველის თვალსა და გულს ატკობს და ახალისებს. ასეთი ადგილმდებარეობის გამო, აქ მდებარე მონასტერი „მწვანე მონასტრად“ იწოდება. ამ მონასტრის მომლოცველობა ყველას შთაბეჭდილებებითა და ტკბილი მოგონებებით ავსებს.

„მწვანე მონასტერი“ მე-8 საუკუნეში აუგიათ. ეკლესიიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ორსართულიანი სამრეკლოა აღმართული. XVI საუკუნეში, შაჰ-თამაზის შემოსევების დროს, მონასტერი დაურბევიათ და მთლიანად გაუნადგურებიათ, ათობით ბერი დაუხოცავთ და უწამებიათ, ზოგიც დამალულა და გადარჩენილა.

ტაძრის მონახულების შემდეგ, ბორჯომის განახლებული პარკისკენ გავემართეთ, აქაც მშვენიერი დრო გავატარეთ, გული ვიჯერეთ სხვადასხვა ატრაქციონებზე გართობით. დალილებმა ერთად ვისადილეთ, მერე ვითამაშეთ, ვიცეკვეთ, ვიმღერეთ, ვიგალობეთ, კარგად გავერთეთ და საღამოს, შთაბეჭდილებებით დატვირ-



თულნი და დალილნი, შინისაკენ გავეშურეთ. ჩვენზე განეული ამაგისათვის, გუნდის სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო გუნდის ხელმძღვანელს ხათუნა ჯანაშვილს. ასევე დიდი მადლობა მამა ზურაბ კაკაჩაშვილს, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა ჩვენს ექსკურსიას და რომელიც მუდამ ზრუნავს ჩვენი კეთილდღეობისათვის.

მადლობა უფალს, რომ კიდევ ერთი დაუეინყარი და ლამაზი დღე გვაჩუქა.

მანონ ყუბანიშვილი

მოქალაქეობა ეფესოსა და კაბადოკიაში

კათოლიკური ეკლესიის კულტურისა და ეკუმენიზმის საბჭოს ინიციატივით, ამა წლის 25 მაისიდან პირველი ივნისის ჩათვლით, დაიგეგმა და განხორციელდა მომლოცველობა თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ, ეფესოსა და კაბადოკიაში. მომლოცველობის – „წმ. პავლეს ნაკვალავზე“ – მთავარი მიზანი იყო საქართველოს კათოლიკე მრევლის რწმენაში განმტკიცება, სულიერი და კულტურული დონის ამაღლება, სხვადასხვა საკრებულოს მორწმუნეებს შორის მეგობრული კავშირების დამყარება. მომლოცველთა ჯგუფს მეგზურობას უწევდნენ და ხელმძღვანელობდნენ მამა პიერ დიუმულენი და მამა

გაბრიელე ბრეგანტინი. ჯგუფი შედგებოდა საქართველოს სხვადასხვა საკრებულოების მორწმუნეებისაგან. ბათუმის საკრებულოდან მომლოცველობაში მონაწილეობდნენ **ანა პორფირივა და დიანა ღუმბაძე**. დაბრუნების შემდეგ, ისინი აღფრთოვანებულნი უზიარებდნენ მრევლის წევრებს თურქეთში წმიდა ადგილების მონახულების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს. ქალბატონ ანას ვთხოვე, „საბას“ მკითხველისათვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები; მან სიამოვნებით უპასუხა ჩემს მიერ დასმულ კითხვებს.

თინათინ პარამაძის მიხედვით

როგორია საქართველოდან ანკარამდე მგზავრობის დროს მიღებული თქვენი შთაბეჭდილებები და რომელი ადგილი მოილოცეთ პირველად?

მგზავრობა თბილისიდან ანკარამდე ხალისიანი და კომფორტული იყო. ანკარაში ჩასვლა ცოტათი დაგვივიანდა, რადგან საბაჟოზე საბუთების გაფორმებამ დიდი დრო წაიღო. გზა იყო შესანიშნავი, ბუნება ცვალებადი, მაგრამ ლამაზი; თავაზიანი და ყურადღებიანი მძღოლები გვემსახურებოდნენ, თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები. ანკარიდან ეფესოში, დღევანდელ სელჩუკში, გავემგზავრეთ, სადაც მასპინძლობა კაპუცინელმა მამებმა გაგვინიეს. ყველანი მათ სასტუმროში დავბინავდით, სადაც არაჩვეულებრივი პირობები დაგვხვდა. მალე ბულ-ბულის მთისკენ გავემგზავრეთ, სადაც ღვთისმშობლის სახლი მდებარეობს. ჩვენი მომლოცველობის პირველი წმიდა ადგილიც სწორედ ღვთისმშობლის სახლი იყო, სადაც, სხვა მომლოცველებთან ერთად, მონაწილეობა მივიღეთ სულთმოფენობის ცისკრის წირვაში. ეს იყო ულამაზესი, წარუშლელი შთაბეჭდილება. ასეთი სულიერი, ამაღლებული განცდა დღემდე არ მქონია. მამა პიერმა განგვიმარტა, რომ მარიამის სახლი წმიდა არის არა მარტო ქრისტიანებისთვის. მართლაც, აქ მომლოცველთა 50% მუსულმანები და სხვა რელიგიათა წარმომადგენლები იყვნენ.

როგორი მასპინძლობა გაგინიეს კაპუცინელმა მამებმა და კიდევ რომელი წმიდა ადგილები მოილოცეთ?

კვირას გავემგზავრეთ ეფესოში, სადაც მდებარეობს წმ. იოანეს სამარხი. მონაწილეობა მივიღეთ წმ. წირვაში, რომელსაც აღავლენდა იზმირის ეპისკოპოსი. კაპუცინელმა მამებმა ზღაპრული მასპინძლობა გაგვინიეს. მათ თავიანთი ხარჯით დამატებით გაგვიმართეს სადღესასწაულო სადილი და ყურადღებას არ გვაკლებდნენ. ღამე გავათენეთ ჰამუკალეს მახლობელ სოფელში, ადგილობრივ სასტუმროში, სადაც აგრეთვე ძალიან კარგი პირობები იყო. სასტუმრო იყო პატარა, ლამაზი,

მყუდრო, ორი აუზით. სამშაბათ დილით კაბადოკიისკენ გავემგზავრეთ, გზად ქ. კონიაში გავჩერდით და წმ. პავლეს ეკლესიაში წმ. წირვა ჩავატარეთ. ეკლესიას ორი მონაზონი ემსახურება. აქ ასვენია წმ. თეკლეს ხატი. ოფიციალურად ეს ეკლესია გაფორმებულია, როგორც დისკოთეკა, რადგან ქრისტიანული წესით ღვთისმსახურება აკრძალულია. ამ ტერიტორიაზე ეს არის ერთადერთი ქრისტიანული ტაძარი. წირვის შემდეგ გავემართეთ კაბადოკიისკენ, სადაც საღამოს ჩავედით.

მეორე დღეს მოვინახულეთ გორემიეს ეკლესია, რომელიც მღვიმეში მდებარეობს. გორემიეს ეკლესიის ირგვლივ არის 400-ზე მეტი ეკლესია. დღეისათვის ამ ეკლესიებშიც სახელმწიფოს მიერ აკრძალულია ღვთისმსახურება, მაგრამ ჩვენ აქ ულამაზესი წირვა ჩავატარეთ. დავათვალიერეთ კაბადოკიის ღირსშესანიშნაობანი. მეორე დილით მიწისქვეშა ქალაქის სანახავად გავემურეთ. ძველად აქ სასულიერო პირები და მოსახლეობა იმალებოდა არაბების თავდასხმებისას. მიწისქვეშა ქალაქი 18 სართულზეა განლაგებული. ჩვენ მხოლოდ მეექვსე სართულამდე ჩავედით. ეს იყო ჩვენი მოგზაურობის ბოლო წერტილი, შემდეგ საქართველოსკენ გამოვემგზავრეთ.

რომელი იყო მომლოცველობის ყველაზე გამორჩეული და ამაღლებველი მომენტი?

ყველა ადგილი თავისთავად არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ ღვთისმშობლის სახლი მაინც განსაკუთრებულ სულიერ განწყობას ბადებს მნახველში და ჩემთვისაც ეს გამორჩეული ადგილი იყო.

რას ეტყოდით ჩვენს მორწმუნე და-ძმებს?

წმიდა ადგილების მოლოცვა ყველა მორწმუნისათვის განსაკუთრებული საჩუქარია და ღმერთს ვთხოვ, ყველას მიეცეს ამის საშუალება. მიწა მადლობა გადაუხადო მამა პიერსა და მამა გაბრიელეს ამ საჩუქრისათვის.

Pioneering Volunteering

ჩეხეთის რესპუბლიკის ორგანიზაცია „caritas“-ის მოხალისეებმა ორგანიზება გაუკეთეს საერთაშორისო ტრენინგს, რომელშიც მონაწილეობდნენ „caritas“-ის ოთხი ქვეყნის მოხალისეები, კერძოდ, საქართველოდან: ნანა მულასაშვილი, მია ხმიადაშვილი, როზა ტელიანი, მარიამ ნებიერიძე და „caritas“-ის თანამშრომელი, ჯგუფის კოორდინატორი ჟანა პეტროსიანი; სომხეთიდან ექვსი მოხალისე; მოლდავეთიდან – ხუთი და მასპინძლები – ჩეხი მოხალისეები.

ჩეხეთში სულ 16 დღე დავყავით, 17 აპრილიდან 3 მაისამდე, აქედან პირველი ორი დღე ჩეხეთის ულამაზეს დედაქალაქ პრაღაში გავატარეთ, შემდეგ კი ისტორიულ ქალაქ ოლომოუცში წავედით, სადაც სტუდენტების საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით.

პროექტის მთავარი მიზანი გამოცდილებების გაზიარება და ახალი უნარ-ჩვევების შექმნა იყო. წითელი ჯვრიდან მოწვეულმა მოხალისემ გაგვაცნო, როგორ უნდა გავუნიოთ პირველადი დახმარება დაზარალებულს, რაც ძალიან საინტერესო და სახალისო იყო. ჩავგიტარდა „მუსიკის თერაპია“ – უცნაური საკრავებით, თამაშებითა და მშვიდი მუსიკით ☺; ამასთან, შესაძლებლობა მოგვეცა, გვეცნობოდით „caritas olomouc“-ის მთელ ორგანიზაციას, გვენახა ქ. მენსიკოვაში არსებული მოხუცებულთა პანსიონატი; ჯგუფებში მუშაობისას გავიგეთ, თუ რა პრობლემებს აწყდებიან მოხალისეები სხვადასხვა ქვეყნებში; რატომ სურთ ახალგაზრდებს მოხალისეობა, რა არის მათი მიზანი და რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ მოღვაწეობას მათ ცხოვრებაში; ასევე შეიქმნა ახალი ორგანიზაცია „Pioneering Volunteering“, რომელშიც ყველა მოხალისე ერთად მუშაობს. ეროვნების მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში დაინერა ახალი პროექტები, რომლისთვისაც გამოიყო 400 ევრო და რომელსაც ყოველი ჯგუფი თავის ქვეყანაში განახორციელებს (ამჟამად



მიმდინარეობს პროექტებზე მუშაობა).

მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, საკმარისად იყო გართობის დროც. გაიმართა ინტერკულტურული საღამო, სადაც თავიანთი კუთხე ჰქონდათ ყოველი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთ ტრადიციებს წარმოაჩენდნენ. ვიცეკვეთ მოლდავეური და სომხური ცეკვები, ვიმღერეთ ქართული სიმღერები, დავაგემოვნეთ მოლდავეური შოკოლადი, კოცონზე შევწვით სარდლები, გავსინჯეთ სომხური ლიქიორი და აღარ შევედავეთ, რომ ჩურჩხელა მაინც ქართულია ☺...!!! ასევე გვქონდა ექსკურსიები სხვადასხვა ქალაქებში, ვნახეთ ბევრი საინტერესო და ლამაზი ადგილი. გამოსამშვიდობებელ საღამოს გადმოგვცეს სერთიფიკატები ჩეხეთში გატარებული დროის სამახსოვროდ, რომელიც საინტერესო, სახალისო და ნაყოფიერი იყო ყოველი მონაწილესთვის.

P.S. ჩეხური ლუდი მართლაც გემრიელია ☺!!!

მარიამ ნებიერიძე

მონოდეპულები

„კლდეზე დაწერა, მიყვარხარო“

„მოწოდება“ – აი სიტყვა, რომლის შეყვარებაც გმართებს ყველაზე მეტად, ვინაიდან ეს სიტყვა მიანიშნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ხარ ღმერთის თვალში, თუ რაოდენ მოსწონს მას ეს შენი მყიფე ცხოვრება. დიახ, ვინაიდან რაკი გიმობს, ესე იგი უყვარხარ კიდევ. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მას გულში ჰყავხარ. ადამიანთა უკიდევანო ბრბოში გაისმის სახელი, შენი სახელი. ყველანი განცვიფრებას მოუცავს. შენზე არავის უფიქრია. მან კი იფიქრა!

„მომობაზე“ მეტად, ეს უფრო ჰგავს „გამომობას“. გამომობა არარაობიდან. შეგიძლია, ყველას უთხრა: მან გამიხსენა. და ისტორიის მიკროფონებში (შენ კი გგონია, რომ ოდენ შენი გულის სიღრმეში) იგი მოგანდობს დავალებას, რომლის აღსრულებაც მხოლოდ შენ ძალგის. შენ და არა სხვას. ეს დავალება შეესაბამება... მას. დიახ, მას და არა შენ!



მისიანე უფრო, ეს ჰგავს ნიძლავს, შენს სიღატაკზე გაკეთებულ სვლას. მან კლდეზე დაწერა, მიყვარხარო – კლდეზე და არა ქვიშაზე – და გვერდით მიაწერა შენი სახელი. ალბათ, ღამით თუ ესიზმრა ის, შენთვის განკუთვნილ ღამეს. ალელუია! შეგიძლია ყველას უთხრა: არ შერცხვენია მას ჩემი.

დონ ტონინო ბელო

ტრენინგები ქუთაისის გაგვითა ცენტრში

მიმდინარე წლის 23 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით, ქუთაისის ბავშვთა ცენტრში ჩატარდა ტრენინგები ფსიქოლოგიაში, რომელსაც უძღვებოდნენ იტალიელი სპეციალისტები, ქ. ვერონის ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრის, „ჩერისის“ მთავარი ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ბატონი ფაბრიციო ვარალტა და ამავე დანესებულების ფსიქოლოგი, ქალბატონი ჯოზეფინა ჩიფელი. ტრენინგები ორგანიზებული იყო „საქართველოს კარიტასის“ მიერ, ქ. ვერონის „კარიტასის“ დახმარებით.

ფორმაციული კურსი, რომელიც მთლიანობაში 40 აკადემიურ საათს მოიცავდა, დაყოფილი იყო სამ ძირითად თემად:

1. დახმარებითი რელაცია: ფსიქოდინამიკის ანალიზი ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მართვაში.
2. ცოლქმრული ცხოვრების ფსიქოდინამიკური ასპექტების ანალიზი: სასიყვარულო არჩევანი – წყვილის შექმნიდან კრიზისამდე.
3. უნარშეზღუდულობა: პრობლემატიკა, რესურსები და ინტერვენციის საშუალებები.

მუშაობის პროცესში, ტრენინგის მონაწილეები მრავალ ისეთ საჭირობოროტო საკითხს შეეხნენ, რაც ბავშვთა აღზრდასთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ის სოციალური გარემო, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, სადაც მოზარდს დაბადებიდანვე უხდება ყოფნა: იჯახი, სკოლა, ქუჩა და ა.შ. ამას ემატება ურთიერთობა მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან, რომლებიც, თავის მხრივ, უამრავი ყოფითი პრობლემით არიან დატვირთული.

აღინიშნა, რომ, სამწუხაროდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა ქვეყანაში კი არ იკლებს, არამედ პირიქით, შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. ასეთი კატეგორიის ოჯახები მოკლებული არიან იმ ელემენტარულ პირობებს, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ, თავიანთი შვილებს



ბისთვის შეექმნათ ზრდა-განვითარებისთვის საჭირო ნორმალური გარემო. მართალია, ბოლო წლებში, სახელმწიფო ამ მიმართულებით დგამს გარკვეულ ნაბიჯებს (სოც. დაუცველი ოჯახები ლეზულობენ ფინანსურ დახმარებას, დაინყეს დღის ცენტრებისა და სხვა მსგავსი ტიპის დანესებულებების ნაწილობრივი დაფინანსება და ა.შ.), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

შეხვედრის მონაწილეები შეშფოთებით აღნიშნავდნენ იმასაც, რომ, მათი დაკვირვებით, იმატა ე.წ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ინკლუზიურ და ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა რაოდენობამაც, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია ქვეყანაში არასტაბილური სიტუაციისა და ზოგადად არსებული მძიმე სოციალური ფონის გამოც.

კვლავაც დიდია მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა რაოდენობა, რომელთა ნაწილი ცხოვრობს ინსტიტუციებში, ნაწილი კი პოტენციური, ან უკვე ჩამოყალიბებული „ქუჩის ბავშვები“ არიან. ამას ხელს უწყობს მათი მშობლების მიგრაცია საზღვარგარეთ, სამუშაოს საძებნელად (უფრო ხშირად ისინი ამ ბავშვების დედეები არიან), რაც იწვევს არასრული ოჯახების რაოდენობის ზრდას.

ამ ყველაფრის ფონზე, საჯარო სკოლებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სასწავლო-აღმზრდელობითი დანესებულებების გამართულ მუშაობას, როგორცაა ბავშვთა სახლები, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები და სხვა. ამ დანესებულებებში მომსახურე პერსონალს – ფსიქოლოგებს, აღმზრდელებს, პედაგოგებს – ზედმინევენით მოეთხოვება მაღალი პროფესიონალიზმი, თავისი საქმისადმი ერთგულება და სიყვარული. მათზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორი მომავალი თაობა გაეზრდება ჩვენს ქვეყანას. ბავშვთა ფსიქოლოგია კი სწორედ ის სფეროა, სადაც შეცდომების დაშვება ყოვლად დაუშვებელია, რაც შემდგომში, როგორც წესი, სავალალო შედეგებს იწვევს. ამიტომ ასეთი ტრენინგები მეტად საშური

საქმეა ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგებისა და პედაგოგებისათვის, მით უმეტეს, როდესაც მას ისეთი გამოცდილი და პროფესიონალი სპეციალისტები უძღვებიან, როგორებიც გახლდნენ ჩვენი სტუმრები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიზნით ისინი უკვე მეოთხედ სტუმრობდნენ ჩვენს ცენტრს.

ტრენინგის ყოველი დღე უაღრესად დატვირთული და შინაარსიანი გამოდგა. დღის პირველი ნახევარი ეთმობოდა თეორიულ ნაწილს, ხოლო მეორე ნახევარი კი პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, რომელიც უხვად იყო გაჯერებული სხვადასხვა თვალსაზრისით მასალით. მონაწილეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ბავშვთა ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნა სხვადასხვა ტესტების მეშვეობით. მოცემული ტესტების საშუალებით, „ცოცხლად გავარჩიეთ“ ცენტრის რამდენიმე „როული“ მოსწავლე, რის შემდეგაც ცენტრის პედაგოგ-აღმზრდელებს მიეცათ რეკომენდაციები და მითითებები.

ტრადიციულად, ტრენინგებში, ჩვენი ცენტრის თანამშრომელთა გარდა, მონაწილეობდა „ინერ-საქართველოს“, ქუთაისის SOS ბავშვთა სოფლის, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, სხვადასხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლების, ასევე რამდე-


„საბა“ – 200

„საბა“ ინფორმაციის მიღების სანიმუშო წყაროა

მამა გაბრიელე, ახლა როდესაც ურნალ „საბას“ მე-200 ნომერს ვამზადებთ, ვფიქრობთ, ურნალის ყველა მკითხველისათვის საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრებები ამ გამოცემასთან დაკავშირებით. „საბა“ კათოლიკური ეკლესიის ერთადერთი პერიოდული გამოცემაა საქართველოში, ასევე, დარწმუნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენი „საბა“ გამორჩეულია ინტერკონფესიული, ტოლერანტული თემატიკისადმი მიძღვნილი მასალების სისტემატური გამოქვეყნებითაც. მკითხველის დიდ დაინტერესებას იწვევს „საბას“ მონიწივე წერილები, რომლის მუდმივი ავტორიც თქვენ ბრძანდებით და რომლებშიც მიუკერძოებლად შუქდება ჩვენი ქვეყნის საჭირობოროტო და აქტუალური

პრობლემები. „საბას“ მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის მკვლევრები, რომელთათვისაც ეს გამოცემა უპირველეს საისტორიო წყაროს წარმოადგენს. ურნალს ჰყავს სხვადასხვა კონფესიების, უმთავრესად კი მართლმადიდებელი მკითხველი, რომელთა მხრიდან დაინტერესებაც საკმაოდ თვალსაჩინოა. სხვადასხვა წრეებში ხშირად მეკითხებიან ურნალში გამოქვეყნებული ამა თუ იმ სტატიის შესახებ, გვთავაზობენ საკუთარ წერილებს. „საბას“ განსაკუთრებულ „დამსახურებად“ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში იმონებენ, როგორც პირველწყაროს.

ერთი სიტყვით, ურნალი „საბა“



ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც რეორგანიზაცია განიცადა, გახდა საინტერესო, კითხვადი გამოცემა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ცვლად და განვითარებად საზოგადოებრივ გარემოში მიღწეულით დაკმაყოფილება და შეჩერება მარცხის ტოლფასია.

ნუზხარ ბარდაველიძე

„საბა“ ინფორმაციის მიღების სიბრტყე წყაროა

◀ 18 გვ. მამა გაბრიელე, თქვენ, როგორც სა-რედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი და „საბას“ სტრატეგიის განმსაზღვრელი, რას ფიქრობთ მის მომავალზე, როგორ, რა სახით უნდა განაგრძოს მუშაობა ჟურნალმა, რომ ღირსეულად უპასუხოს დროის გამოწვევებს? რას ურჩევდით „საბას“ კორესპონდენტებს, რომელ პრობლემებზე გაამახვილონ ყურადღება, რომელი საკითხები წარმოადგენს მეტი გაშუქებისა და ანალიზის ობიექტს სარედაქციო საბჭოს მხრიდან?

პირველ რიგში, მინდა, მადლობა ვუთხრა მათ, ვისაც კათოლიკურ საკრებულოებში ჟურნალ „საბას“ მედი-ატორის როლი აკისრია, რაც გამოიხატება როგორც მის პრობაგანდაში, ასევე კათოლიკე საკრებულოების, კათოლიკური ორგანიზაციების („კარიტასი“) კონკრეტულ ცხოვრებაზე ინფორმაციის მონოდებაში, და ასევე, ჩვენი ეკლესიის ბაზაზე არსებული კომისიების მუშაობაზე (ოჯახების, კულტურის, ეკუმენიზმის). მთელი ამ ინფორმაციიდან დაკვირვებული მკითხველი უთუოდ დაინახავს ჩვენი ეკლესიის დიდ ცხოველუნარიანობას, რაც უდავოდ იმსახურებს სხვა საინფორმაციო საშუალებების ყურადღებასაც. ცხადია, ისტორია თავის ადგილს მიუჩენს ყველა იმ საქმეს, რაც დღეს ასე უხმაუროდ, უყურადღებოდ ჩაივლის. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი თემატიკაა უპირატესი; ჩემი სურვილია, რომ ყოველთვის ვიჩინდეთ ყურადღებას კათოლიკური საკრებულოების ცხოვრების მიმართ, მათი პრობლემებისადმი, კათოლიკე მორწმუნეებს, ახალგაზდებსა და ხანდაზმულებს შორის კავშირების გამყარების მიმართ;... მივანვდინოთ ჩვენი ხმა საზოგადოებას მომხდარ ფაქტებზე, პიროვნებებზე, მოსაზრებებზე, წინადადებებზე, იმ გარემოზე, რაშიც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ კათოლიკეები,... რომლებიც ამაზე სხვაგან ვერ ისაუბრებენ. აი, ეს არის კორესპონდენტების დავალება. ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს თემები, რაზეც იმსჯელებთ და რასაც შემდგომ უფრო ადვილად განაზოგადებთ ქვეყნის, მსოფლიოს, კათოლიკე ეკლესიის და არა მხოლოდ აქ არსებულ პრობლემებზე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ საკმარისი არასოდესა და რომ „საბას“ ყოველი ახალი ნომერი ამ სურვილით გამოხატული კიდევ ერთი მოვალეობაა.

მამა გაბრიელე, რას უსურვებდით „საბას“ მკითხველებს, რომელთა სპექტრიც საკმაოდ ფართოა და განსხვავებული ინტერესების მატარებელი.

ვისურვებდი, რომ ჰქონდეთ მისი წაკითხვის სურვილი. ბუნებრივია, ჩვენი ჟურნალის წაკითხვისა, და არა მარტო მისი, არამედ სხვა ინფორმაციისაც, და ჰქონდეთ წაკითხულის განსჯის სურვილი. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანები ნაკლებს კითხულობენ, მრავალ მიზეზთა გამო, განსაკუთრებით კი განსჯის უუნარობის გამო; ხშირად ხდება ერთი და იმავე ინფორმაციის გამეორება, ისე რომ არც კი განსჯიან; ჩვენი საკრებულოს მკითხველებს ვეცოდით, რომ დააფასონ ეს იარაღი, ვინაიდან იგი ერთადერთი საშუალებაა, რომელიც, რეგულარული ფორმით, ყოველთვის უნდა შემოდის ჩვენს კათოლიკე ოჯახებში და გვაკავშირებს საქართველოში და მსოფლიოში მცხოვრებ კათოლიკეებთან; ჩვენი ეკლესიის სინოდზე, 2006 წელს, ჟურნალი „საბა“ გამოცხადდა, როგორც კულტურული და საეკლესიო სფეროს ფორმაციული და საინფორმაციო საშუალება; არაკათოლიკეებს გულწრფელ მადლობას მოვახსენებ იმ ყურადღებისათვის, რასაც იჩინენ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ საზოგადოებაში მწირია კათოლიკური სამყაროდან და საქართველოში თუ მსოფლიოში არსებულ კათოლიკე ეკლესიაზე ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა, უფრო მეტად უნდა დავაფასოთ ეს საშუალება, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ინფორმაციის მიღების საიმედო წყაროა (ხშირად ხომ უსაფუძვლოდ და ტენდენციურად წერენ კათოლიკეებზე და კათოლიკე ეკლესიაზე), და თუნდაც იმიტომ, რომ შეგვიძლია საკუთარი თავის ფორმირება იმ მყარი ცოდნის გამოყენებით, რაც კათოლიკურ ტრადიციას აქვს თეოლოგიურ, ლიტურგიულ, ფილოსოფიურ, კულტურულ სფეროში... თვით თანამედროვე მოვლენების შეფასების მხრივ; ყოველივე ეს გვავალებს, რომ გაგრძელდეს კათოლიკურ სამყაროსა და ქართულ საზოგადოებას შორის არსებული კავშირი, რაც ამ ქვეყნის ისტორიაში დიდი ხნის მანძილზე გახლდათ მრავალმნიშვნელოვანი.

ნაპოლეონ მე-3 დამარცხებული და ტყვე

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ № 11-12, 2011, № 1-6, 2012)

სხუთი წლის შემდეგ გრაფი რეთელი თავის ტიდმორ მეგობრით პელების ციხეში იყო, არც ისე შორს სედანიდან. ნაპოლეონ მე-3 გერმანელებისათვის ომი გამოეცხადებინა. ფრანგების უდიდეს ნაწილს სჯეროდა თავისი ჯარის გამარჯვებისა, ხოლო გრაფი თავისი შევიწროებული სულით თავს აქნევდა! – შეუძლებელია გამარჯვება, ამბობდა იგი დიდი მწუხარებით, საფრანგეთი და მისი კეისარი დიდ ბოროტმოქმედებაში არიან ჩავარდნილი, ხოლო ყოველი ბოროტმოქმედებისათვის შურისმაძიებელი ცოცხალი ღმერთი არის!

მე თქვენი ვერაფერი გამიგია იოსებ მეგობარო, ეუბნებოდა ტიდმორი. სამხედრო საქმის მცოდნე პირნი საომრად მიისწრაფიან, მოელიან, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ მდინარე რეინს გაივლიან და გამარჯვებულნი ბერლინზე წავლენ; თქვენ კი საკვირველო კაცო დამარცხებას წინასწარმეტყველებთ?

მე ჩემი მიზეზები მაქვს, ჩემო საყვარელო ბერნარდ! ნაპოლეონ მე-3 იმ ყოვლის მფლობელთა ხვედრის მონაწილე უნდა გახდეს, რომელთაც ქვეყანაზე ქრისტეს მომაგიერე შეანუხეს, დევნეს და გაძარცვეს.

ისევ ფონტენებლოში მოსმენილ საუბარს ვუბრუნდებით, პიო მე-7 და ნაპოლეონ პირველს შორის, რომელმაც მაშინდელ სასახლის მცველზე დიდი გავლენა მოახდინა, დაიძახა მხიარულად ტიდმორმა. ვერ უარვყოფ, რომ ღმერთს ნაპოლეონ პირველის სამეფო კვერთხი არ დაეღვენოს, მითუმეტეს რომ მღვდელმთავარი დატყვევებული ჰყავდა და ეკლესია მთავრობის დაქვემდებარებაში უნდოდა მოექცია, მაგრამ განა შესაძლებელია იგივე შემთხვევა ისევ განმეორდეს? მეტად მოშიში და დაეჭვებული ხართ!

„ძველი ღმერთი ცოცხალი არის“, გაიმეორა მძიმედ გრაფმა. ზეციერი უცვლელი არის, ღმერთი პეტრეს ტახტის მცველი და მფარველი არის, ამიტომ ნამდვილად მისმა მკლავმა უნდა შემუსროს იმავე წმინდა ტახტის მტერი და მდევნელი!

თუ ეგრეა მაშინ რისხვითი სამართალი პირველად იტალიისა და მისი მეფისაგან უნდა დაიწყოს, განაცხადა ტიდმორმა. არა მეგობარო! მართალია იტალია უბედურად უნდა დაეცეს თავის მეფესთან ერთად, ის უნდა მიიღოს რაც დაუთესია, მაგრამ ვიქტორ ემანუილი არ არის იტალიის მეცველის და პეტრეს საკუთრების წარმტაცველი მამა, არამედ იგი არის ნაპოლეონ მე-3 კეისარი.

ჩემი აზრით ნაპოლეონ მე-3 მღვდელმთავრის მიმართ ისე უსამართლოდ არ მოქცეულა, როგორც მისი ბიძა მოიქცა, თქვა ტიდმორმა. ახლანდელმა კეისარმა პაპი დაიცვა და ამისათვის უნდა დაისაჯოს?

არ დაუცვია! მწუხარებით წამოიძახა გრაფმა, ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე – თითქოს მას იცავდა. იცოდეთ, რომ პაპის ტახტს ნაპოლეონ მე-3 უფრო მეტი ვნება მოუტანა, ვიდრე ნაპოლეონ პირველმა. მართალია ბიძამისმა პაპი დაატყვევა და ასე ჰყავდა, მაგრამ ძმისწულის ნაპოლეონ მე-3 მატყუარობა და მზაკვრობა მიზეზი გახდა იმისა, რომ ქრისტიანთა მამა გაძარცვეს!

გაიხსენეთ! ნაპოლეონ მე-3 სახელმწიფო გაზეთები წლიდან წლამდე ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ მღვდელმთავრის საქვეყნიერო მფლობელობა შეუძლებელი არისო.

თვით კეისარმაც გამოაქვეყნა წერილი, სადაც ამბობდა, რომ პაპის კუთვნილება მხოლოდ სასახლე და ბაღი არისო. საფრანგეთმა სესხიც მისცა იტალიის მტაცებელ მთავრობას. ამიტომ ნაპოლეონ მე-3 არის ეკლესიის მძარცველი და პაპის თავისუფლების მომსპობელი, იტალიელთა ხელით. ამის გამო ის და მთელი საფრანგეთი ღვთიური რისხვის ქვეშ არიან ჩავარდნილი!

თქვენი ნათქვამი სრულად ტყუილი არ არის, მიუგო ტიდმორმა და გააგრძელა: რაც ნაპოლეონ მე-3 იტალიასთან პირობა დადო, რომლის მიხედვით პიო მე-9 საფრანგეთის მფარველობას კარგავს, კეისრის ვარსკვლავი კლებაზე მიდის.

ბევრი ვეხვეწე ნაპოლეონ მე-3, რომ ეს პირობა არ დაედო, თქვა რეთელმა, მაგრამ ამაოდ. კეისარს ეკლესიის ღვთიური მცველ მფარველობა არა სწამს, მაგრამ ბევრს ველარ გაძლებს!

ნაპოლეონ მე-3 უნდა იცოდეს, რომ მის და ეკლესიის მტრების წინააღმდეგ დგას განრისხებული ყოვლადღიერი ცოცხალი ძველი ღმერთი!

ვთქვამ ნაპოლეონ მე-3 არის რისხვის ღირსი, როგორ შეიძლება მთელი ქვეყანა, მისი მფლობელის ცოდვისათვის პასუხისმგებელი იყოს? იკითხა ტიდმორმა.

როგორც ერია ისეთია მისი მთავარიც! თქვა რეთელმა. საფრანგეთს რომ სდომებოდა შეძლო ეიძულებინა კეისარი, რათა ქვეყანა ქრისტიანულად ემართა, მაგრამ მიუშვა თავის ნებაზე, რომ უსჯულოებანი აესრულებინათ. მან დაანინაურა ურწმუნოება, ნამხდარი ზნეობა. ქვეყნის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოდიოდა ამის წინააღმდეგ და ეკლესიის დასაცავად. სწორედ მან, ნაპოლეონ მე-3 თავისი გარყვნილი ზეგავლენა განავრცო ბეჭდურ საშუალებებზე. ქრისტიანობის წინააღმდეგ განაწყობა ბევრი ადამიანი – მთელი ურდო. ეხლა ისეთი მდგომარეობაა, რომ სარწმუნოებრივი თანამდებობის შემსრულებელი, სასულიერო დაწინაურებას ვერ შეძლებს – ზემოსვლით!

ქვეყანაში სრული ურწმუნოება და წარმართობის სული ბატონობს! ნაპოლეონ მე-3 საფრანგეთი უზნეობისა და გარყვნილების უფსკრულში ჩააგდო! განა ეს ეკლესიის დევნა არ არის? ეკლესიის პირდაპირი დევნა სარწმუნოებას იმდენ ზიანს არ აყენებს, რამდენ ზიანსაც მიაყენებდა მას ეკლესიის მიმართ ფარული და მზაკვრული შეთქმულებანი! საფრანგეთი ღვთის გზის გარეთ ძლიერ არის გადასული, ამიტომ ის უნდა დაისაჯოს. ძველი ღმერთი ისევ ცოცხალი არის! სთქვა რეთელმა.

რადგან ჯარში სამი შვილი გყავს წასული, ამიტომ საფრანგეთის დამარცხებამ ორმაგად უნდა დაგამწუნროთ მეგობარო! გამხსენებთ, იმედი იქონიეთ ჩვენი ჯარის სიმხნევესა და ჩვენი მხედართმთავრების ხელოვნებაზე!


მხსნეობა და ხელოვნება უძლურნი არიან, როცა ყოვლადღიერი რისხვით სამართალზე მივა საქმე, მწუხარებით სთქვა გრაფმა რეთელმა.

გრაფის წინასწარმეტყველებანი ასრულდნენ, გერმანელებმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს ფრანგებზე და სედანის ოთკუთხივ გამწკრივდნენ. საშინელი ბრძოლა ატყდა იქ: ათასობით თოფ-ზარბანის ჭექა-ქუხილი ჰაერს აზანზარებდა და დედამიწას არყევდა; პელების ციხეც საფუძვლიანად ირყეოდა და ფანჯრის მინები იღუნებოდა.

ტიდმორი საშინლად აღელვებული იყო! ხოლო გრაფი რეთელი, თუმცა მწუხარე იყო, ამბობდა ხშირად: „ღვთის ნება იყოსო“ ღმერთმა შვილები შემინახოს და გაუბედურებულ ჩემს სამამობლოს ახალი სიცოცხლე დაუბრუნოსო!

(გაგრძელება იქნება)

ავტორი კონრად ბოლონდენელი მესხის იოანე მღვდელ გვარამაძის მიერ ნათარგმნი (მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)



სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა საგანის წინამძღვრები ხაზაბაგრიდან

სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა ფერიქიოს საგანემ თავი-სი საუკუნოვანი არსებობით ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიაში. ეს ის ფურცელია, რომელიც უნდა წაიკითხოს ყველა ქართველმა, რათა გაიგოს ბევრი რამ: როგორ უნდა უყვარდეს სამშობლო, როგორ უნდა იღვანოს მისთვის. რა ევალება მას როგორც მამულიშვილს, რა არის ეროვნული სიამაყე. ამასთანავე გაეცნოს თანამემამულეთა – საგანის მამათა ცხოვრება-მოღვაწეობას, თვის საგანის საქმიანობას და მის წვლილს ქართულ პოლიტიკაში, კულტურაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თურქეთში მცხოვრები ქართველების კონსოლიდაციის საქმეში.


წიგნში გაშუქებულია სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა საგანის ორი წინამძღვრის: ალფონს ხითარიშვილისა და პიო ბალაძის (ბალიაშვილის) მოღვაწეობა, წარმოჩენილია მათი ღვაწლი საგანის საუკუნოვან მოღვაწეობაში.

წიგნში დახმარებას გაუწევს სტამბოლის ქართველ მამათა საგანისა და საერთოდ ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობით დაინტერესებულ პირებს.

ამ წიგნის გამოცემით ქართველმა მკითხველმა დიდი საჩუქარი მიიღო.

წიგნის ავტორია პროფესორი ნატო ყრუაშვილი რედაქტორი – პროფესორი შუშანა ფუტყარაძე

სტამბოლის ქართული საგანი



ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად, ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.


წინამდებარე წიგნში ეძღვნება საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას – სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა საგანს. ავტორს დიდი რუდუნებით აქვს შესწავლილი საგანის ისტორია, კარგად იცნობს მის დღევანდელ მდგომარეობას.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა საგანში შემონახული უნიკალური საგანძური (ეკლესია – მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკა და ძვირფასი არქივი, საინტერესო სამუზეუმო ექსპონატები) შეგვიანბა თურქმა ხალხმა, თურქეთის რესპუბლიკამ, რაც განსაკუთრებით ალსანიშნავია, საგულისხმო და დასაფასებელია.

წიგნი ძირითადად ეძღვნება გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ ქველმოქმედს სიმონ ზაზაძეს, როგორც სტამბოლის ქართული კათოლიკური საგანის დიდ ქომაგს. ფერიქიოს საგანის მოვლა-შენახვის საქმეში ფასდაუდებელია ზაზაძეების ოჯახის, მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების ღვაწლი.

წიგნის ავტორია პროფესორი შუშანა ფუტყარაძე მთავარი რედაქტორი – პროფესორი რიონ მეტრეველი

განუსვენე მათ, უფალო!




ვასილი ვოსკრესნიკი * 1922 – ხიზაბაურა † 2012 – ასპინძა



ვალენტინა ასანიძე * 7.04.1937 – უკრაინა † 25.05.2012 – მერევი, ჭიათურა



მარგალიტა გივოსვიჩი * 5.02.1927 – უღე † 30.06.2012 – უღე



თიმიფეაჲ ხითაროვი * 2.01.1957 – ვალე † 8.06.2012 – ვალე



ბუნებასთან სიხსოვრის მეტი გაცნობა

ბეთანიის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, – საქართველოს „ოქროს ხანაში“, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, – მდებარეობს თბილისის დასავლეთით, მდინარე ვერეს ხეობაში. მონასტერში იგრძნობა ძველი ქართული ტაძრებისათვის დამახასიათებელი იდუმალეზა, რასაც კედლებზე შემორჩენილი მაღალი ოსტატობით შესრულებული ფრესკებიც უწყობს ხელს, სადაც ასახულია ბიბლიური სიუჟეტები ძველი თუ ახალი აღთქმიდან.

მდინარე ვერეს მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ბეთანიის მონასტრის მოლოცვა კათოლიკე სტუდენტებმა 2012 წლის 24–25 ივლისისთვის დაგეგმეს.

24 ივლისს, თბილისის მარიაძის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში აღვლენილ წირვაში მონაწილეობის შემდეგ, შემართებით, ენთუზიაზმით სავსენი, თუმცა საკმაოდ მძიმე ტვირთით, გავემართეთ ბეთანიისკენ. ზაფხულის

დამე... მდინარის ნაპირი... გრილი ნიაფი... კოცონი... მონასტრის ნახვით გამოწვეული აღფრთოვანება და, რაც მთავარია, ერთად ყოფნა, – ყოველივე ეს საკმარისია იმისთვის, რომ ჩქარობდეს დანიშნულების ადგილამდე მიღწევას. ნეილ ფრანკი ამბობს: „ქრისტიანული ცხოვრება გულისხმობს ურთიერთობებს და არა საგმირო საქმეებს“. და მართლაც, ბეთანიაში გატარებულ დროს თუ შევადარებთ იქ ჩასვლამდე გავლილ დროს, ძალიან დიდ სხვაობას დავინახავთ. მიზნის მიღწევის პროცესი, თუ მას შემოქმედებითად, აზრიანად მიუდგები, ყოველთვის უფრო მეტად საინტერესოა, ვიდრე თავად მიღწეული მიზანი. საათობით ერთად სიარული, ერთმანეთის ტვირთის გაზიარება, მოლოდინი და მოუთმენლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა, სამსაათიანი სიარულის შემდეგ, აბრაზე წაიკითხავ: „ბეთანია, 6.7კმ“, სასიამოვნო იუმორი და ერთად ყოფნის სიხარული ბედნიერებით გვავსებდა.

ადამიანი სოციალური არსებაა, მას სჭირდება ურთიერთობები თვითრეალიზაციისთვის; თითოეული ჩვენგანი ახერხებს თავისი ბუნების გამოვლენას სხვადასხვა საზოგადოებაში. კათოლიკე სტუდენტების მოძრაობის მიზანიც ხომ ერთმანეთთან, მსგავსი ინტერესების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებით საკუთარი პიროვნების განვითარება და, გარემო პირობების მუდმივი ცვალებადობის მიუხედავად, პიროვნების ბუნებრიობის შენარჩუნებაა. ამიტომაც ჩვენი ყოველი ღონისძიება თუ შეხვედრა, მსგავსად ამ ლაშქრობისა, მიმართულია იმისკენ, რომ ერთმანეთის დახმარებით ვუსმინოთ უფალს, რადგანაც „თავისუფლებითა თავის გაგვათავისუფლა ქრისტემ“ (გალ.5,1).

ლაშქრობები ბუნებაში, კარვებით, ზურგჩანთებითა და პარალონებით მოსიარულე ტურისტები დღესდღეობით ისევე ბუნებრივია, როგორც შოთასა და ნიკოს ნამძინარევი სახეები. გარდა იმისა, რომ ამგვარი ლაშქრობები ნაკლებ ფინანსებს მოითხოვს, მას ახლავს ბუნებასთან სიახლოვის მეტი გაცნობა და უამრავი გაუთვალისწინებელი მოვლენები. ჯორჯ ვაშინგტონ ქარვერი ამბობს: „წიგნების კითხვა ბუნების შესახებ კარგია, მაგრამ თუ ადამიანი სეირნობს ტყეში და ყურადღებით უსმენს ბუნებას, მას შეუძლია ისწავლოს უფრო მეტი, ვიდრე დაწერილია წიგნებში, რადგანაც ბუნება საუბრობს ღმერთის ხმით.“

უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველაფერი კარგი იყო..

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს მოძღვარს, მამა მიროსლავს და ყოველ მონაწილეს...

სოფო გოზალიშვილი





კამილიელთა ცენტრის „ლაშას“ კურთხევა



ტრენინგები ქუთაისში

კარდინალი ლეონარდო სანდრი კათედრალში

